პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 11 იანვარი, 1949 წ. № 8 (8311) ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ ლ. პ. ბერიას (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის XIX საქალაქო კონფერენცია (1-ლი გვერდი).
კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო (მე-2 გვერდი).
სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი (მე-3 გვერდი).
სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია (მე-3 გვერდი).
იაპონიისათვის შექმნილ საოკუპაციო საბჭოში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მოსკოვი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს!

მოხარული ვართ გაცნობოთ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, რომ ჩვენს XIX კონფერენციას შევეგებეთ ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

ეს მიღწევები მოპოვებულია პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამების საფუძველზე, რასაც თქვენ ასწავლიდით თბილისის ბოლშევიკებს და საქართველოს მთელ პარტიულ ორგანიზაციას.

უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ამ დღეებში, რამაც მთელი საბჭოთა ხალხი მოიცვა, საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის წარმოებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის აქტიური მონაწილენი არიან. ისინი ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა საბრძოლო პატრიოტულ მოწოდებებს. სოციალისტური შეჯიბრების გაშლებით ისინი ნაკისრ ვალდებულებებს ღირსეულად ასრულებენ.

თბილისის 30-ზე მეტმა დიდმა საწარმომ წლიური გეგმები შეასრულა ვადამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის. ჩვენი ათი მოწინავე ქარხანა და ფაბრიკა გამოვიდა ახალი საწარმოო წარმატებისათვის იმ ბრძოლის ინიციატორად, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მომავალი XIV ყრილობის აღსანიშნავად არის გაშლებული.

დიდი გამარჯვება მოიპოვა ქალაქის მრეწველობამ ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვებისათვის ბრძოლაში, გადაჭარბებით შეასრულა ვალდებულებანი, რომლებიც იკისრა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში.

თქვენ მიერ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი საქართველოს და თბილისის ბოლშევიკები სათავეში უდგანან ქართველი ხალხის პატრიოტულ აღმავლობას, ენთუზიაზმს, თავდადებულ შრომას სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისა და აყვავებისათვის.

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, თქვენი ინიციატივით თბილისი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცა.

წინასაარჩევნო სიტყვაში 1946 წლის 5 თებერვალს თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, სერიოზული ამოცანები დაუსახეთ ჩვენ საქალაქო მეურნეობას, მიგვითითეთ, რომ საჭიროა კარგ მდგომარეობაში გვქონდეს იგი, ყურადღება მივაქციოთ სარემონტო და საამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციას, მათს უზრუნველყოფას „მცოდნე და საქმის მოყვარული სპეციალისტებითა და კვალიფიციური მუშებით“.

თქვენი მითითებების მიხედვით ჩვენ დღითიდღე ვაფართოებთ მუშაობას თბილისის კეთილმოწყობის, ახალი მშენებლობის გაშლის დარგში, გვახსოვს რა, რომ „საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობა დიდი და რთული საქმეა და იგი მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა გვქონდეს“.

XIX კონფერენცია აჯამებს თბილისის პარტიული ორგანიზაციის მიერ სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ყველა დარგში გაწეულ მუშაობას.

სარგებლობს რა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი იარაღით, მან ბოლშევიკურად გამოავლინა ამ მუშაობის სუსტი უბნები.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რათა უმოკლეს დროში აღმოვფხვრათ გამოვლინებული ნაკლოვანებანი და ღირსეულად გადავჭრათ ჩვენს წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

ვალდებულებას ვკისრულობთ შემდეგშიც ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი როლი თბილისის მშრომელთა მებრძოლი ავანგარდისა იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწევიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ახალი აღმავლობისათვის, მისი აყვავებისათვის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ ჩვენი წინსვლის დაჩქარებისათვის.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, საბჭოთა ხალხის აღმაფრთოვანებელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება ხალხთა ბრძენ ბელადს, მშრომელთა მამას, მასწავლებელს, მეგობარს, მშობლიურ, დიდ სტალინს!

## ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავისათვის

**ლენინგრადი.** ლენინის სახელობის ქალაქის ქარხანა-ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებსა და კულტურის სახლებში დაიწყო მზადება ლენინის დღეებისათვის.

ნევის გარეუბანში, სადაც 55 წელზე მეტი ხნის წინათ გააჩაღა თავისი რევოლუციური მოღვაწეობა პეტერბურგში ვლადიმერ ილიას-ძემ, იმართება საღამოები, ეწყობა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები, საუბრები.

ლენინის სახელობის ნევის მანქანათმშენებელი ქარხნის შესავალში აღმართულია ბელადის ძეგლი. 1894 წელს ლენინმა დაწერა ფურცელი და მიმართვა ამ ქარხნის, მაშინ ეგრეთ წოდებული სემიანიკოვის ქარხნის გაფიცული მუშებისადმი.

ქარხნის ვეტერანები იგონებენ, თუ როგორ აღაფრთოვანებდნენ მუშებს ლენინის ფურცლები, რომლებშიც მითითებული იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზა.

ქარხანა „ბოლშევიკის“ მექანიკურ-სააწყობო საამქროს შენობას მეოთხედი საუკუნის წინათ გაუკეთეს მარმარილოს დაფა. დაფაზე წარწერაა: „ობუხოვის ქარხნის მუშათა მიტინგზე 1917 წლის მაისში დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის გამოსვლის სამახსოვროდ“.

ამჟამად საამქროს აგიტატორები აწყობენ საუბრებს თემაზე: „25 წელი ულენინოდ, სტალინის წინამძღოლობით, ლენინის გზით“. ობუხოვის ქარხნის ძველი მუშები, რომლებსაც ლენინის ლაპარაკი მოუსმენიათ, გამოდიან მოგონებებით.

**მინსკი.** ბელორუსი ხალხი წმიდად ინახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას. ყველგან დაიწყო მზადება ლენინის დღეებისათვის.

ბელორუსიის ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სხვა ბიბლიოთეკებში, კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში იმართება გამოფენები. გამოფენებზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი ბელორუსულ და რუსულ ენებზე.

**პეტროზავოდსკი.** ქალაქ პეტროზავოდსკის საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება საუბრები ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელმა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ დაიწყო ლექცია-მოხსენებების მოწყობა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პარტიული განათლების სახლში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, მიძღვნილი ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლების—ლენინისა და სტალინისადმი. გამოფენები გაიხსნა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში.

რაიონული პარტკაბინეტები და ბიბლიოთეკები ტყის მჭრელებისათვის ქმნიან მოძრავ გამოფენებს, რომლებიც ასახავენ ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს.

# საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის XIX საქალაქო კონფერენცია

### 10 იანვრის დილის სხდომა

დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ა. ჯიშიაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში, **ბ. კიზირია** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, **ქ. ერისთავი** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, **მ. მეგრელიშვილი** — საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, **ი. ჩოჩია** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი.

ამით დამთავრდა კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხანაგი **ქ. ჩარკვიანი**, რომელსაც კონფერენციის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

კონფერენცია იღებს გადაწყვეტილებას: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ჩაითვალოს სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად კონფერენციამ გამოჰყო კომისია.

კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენცია გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.

დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის სახელით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანს ამხ. ვ. ბარბაქაძეს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი 65 წევრისა და 19 კანდიდატის შემადგენლობით. ამ წინადადებას კონფერენცია ერთხმად იღებს. შემდეგ ამხ. ბარბაქაძე დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის დავალებით პერსონალურად ასახელებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა კანდიდატურებს ფარული კენჭისყრისათვის.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში კონფერენცია პირველად ასახელებს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში კენჭისსაყრელად დასახელებულია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლ. პ. ბერია, რასაც კონფერენციის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში დასახელებულია საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელი ამხანაგი ქ. ჩარკვიანი.

დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის სახელით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანს ამხ. თ. ქვლივიძეს წინადადება შეაქვს სარევიზიო კომისია განისაზღვროს 7 კაცის შემადგენლობით და ასახელებს სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანს ამხ. გ. ცქიტიშვილს დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის სახელით წინადადება შეაქვს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. შემდეგ იგი ასახელებს დელეგატობის კანდიდატთა პერსონალურ შემადგენლობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატობის პირველ კანდიდატად დიდი სტალინის დასახელებას კონფერენციის მონაწილენი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით ეგებებიან.

კონფერენციის დელეგატები ტაშის გრიალში იღებენ წინადადებას საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატობაზე კენჭისსაყრელად დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლების ამხანაგების ვ. მ. მოლოტოვის, ლ. პ. ბერიას და გ. მ. მალენკოვის დასახელების შესახებ.

ყრილობის დელეგატობის კანდიდატად დასახელებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ქ. ნ. ჩარკვიანი, რასაც კონფერენციის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

კონფერენცია ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 17 ამხანაგის შემადგენლობით.

### 10 იანვრის საღამოს სხდომა

10 იანვრის საღამოს სხდომაზე ჩატარდა დახურული (ფარული) კენჭისყრა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატების ასარჩევად.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხანაგ ქ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენების გამო.

კონფერენციის მონაწილეებმა მქუხარე ტაშით მიიღეს მისალმება ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. გაბუნიას ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატთა ასარჩევად ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კონფერენციის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში ერთხმად არჩეულია ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

ცნობას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში ამხანაგ ლ. პ. ბერიას ერთხმად არჩევის შესახებ დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

კონფერენციის მონაწილენი ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში ამხანაგ ქ. ნ. ჩარკვიანის ერთხმად არჩევის შესახებ.

კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, როდესაც დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატებად ერთხმად არჩეული არიან დიდი სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია და გ. მ. მალენკოვი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატებად არჩეულია, გადამწყვეტი ხმის უფლებით 179 კაცი და სათათბირო ხმის უფლებით—15 კაცი. დელეგატთა შორის არიან ამხანაგები ქ. ნ. ჩარკვიანი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბ. გოგუა, მ. ი. ბარამია, ა. ე. თოფურიძე, რ. ს. შადური, მ. მ. ლელაშვილი, ზ. ნ. კეცხოველი, გ. ნ. ზამბახიძე, ვ. მ. ბაქრაძე, ს. მ. იშხანოვი, ქ. ს. ციმაკურიძე, თ. ი. ტოლბუხინი, ე. ი. ჩერქეზია, ა. ი. ანტონოვი, ვ. ა. ლოლაძე, დ. ე. კოლესნიკოვი, ნ. მ. რუხაძე, გ. თ. კარანაძე, ი. პ. ვაცეკი, გ. ი. ელისაბედაშვილი, ქ. მ. ილურიძე, შ. ფ. კოხრეიძე, ვ. ი. ოლქიაშვილი, ლ. ბ. ასათიანი, ა. ა. ხორავა, ა. ა. ვასაძე და სხვები.

კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგი ამოწურულია.

ამხანაგი ქ. ჩარკვიანი თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციას დახურულად აცხადებს.

გაისმის მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

## სია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრებისა, რომლებიც არჩეული არიან თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

ი. ბ. სტალინი
ლ. პ. ბერია
ქ. ნ. ჩარკვიანი
ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი
ვ. ბ. გოგუა
მ. ი. ბარამია
ა. ე. თოფურიძე
მ. მ. ლელაშვილი
რ. ს. შადური
გ. ნ. ზამბახიძე
ზ. ნ. კეცხოველი
ვ. მ. ბაქრაძე
ს. მ. იშხანოვი
ქ. ს. ციმაკურიძე
ე. ი. ჩერქეზია
ი. დ. კოპლამაზაშვილი
გ. ა. გოჩაშვილი
ნ. მ. რუხაძე
გ. თ. კარანაძე
ვ. ა. ლოლაძე
ა. პ. ჯიშიაშვილი
შ. ა. ჯაფარიძე
ფ. ი. უსატი
დ. გ. მამაცაშვილი
ქ. გ. ჭიჭინაძე
ი. პ. ბაბალაშვილი
დ. ბ. ტაბატაძე
შ. ფ. კოხრეიძე
გ. ქ. ცქიტიშვილი
ვ. მ. კორძაძე
თ. ქ. ქუთათელაძე
ვ. ვ. ბარბაქაძე
ქ. მ. ილურიძე
დ. ა. ჭიჭინაძე
გ. დ. ჟორჟიკაშვილი
ნ. ვ. პავჩინსკი
ნ. ნ. კეცხოველი
ი. ს. ჩოჩია
ნ. ი. გიგაური-ჩარკვიანი
ლ. პ. ასათიანი
დ. გ. ეძგვერაძე
გ. ი. ლუარსაბოვი
ა. ა. ხორავა
ა. ი. ჩიტაიშვილი
გ. დ. თავამაიშვილი
ნ. ი. სტურუა
ბ. ი. ლელინი
ა. ე. მელაძე
თ. ნ. ქვლივიძე
ფ. მ. აფაქიძე
ბ. გ. ნანიტაშვილი
დ. ნ. ჯიბლაძე
ა. ქ. გომიაშვილი
ნ. ა. ჟვანია
ა. ფ. კისელიოვი
ბ. ი. კიზირია
ი. ვ. სხირტლაძე
ი. მ. გეტაშვილი
ი. რ. ხვედელიანი
მ. ს. ჩიკვაიძე
მ. ა. მეგრელიშვილი
ვ. ქ. პანიევი
გ. მ. ჭელიძე
ი. დ. მაისაია
ი. დ. ლუარსაბოვი

## სია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრობის კანდიდატებისა, რომლებიც არჩეული არიან თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

მ. ქ. მაღრაძე
ი. ნ. გუჯაბიძე
ქ. ვ. მორეტი
დ. გ. ჯავახიშვილი
შ. მ. გვასალია
ე. დ. ჩოფიკაშვილი
ვ. ხ. მარშანია
ლ. მ. ქუდიძე
ვ. ი. მელქაძე
პ. ს. კილასონია
ი. გ. წიქვაძე
ო. დ. მუსერიძე
გ. ს. კაკაბაძე
რ. ბ. ხაჩატუროვი
ქ. ტ. დრუგაკი
ა. ა. ჭანტურია
ვ. პ. მანჯგალაძე
მ. ო. იავრიანი
ნ. ქ. ბარკალაია

## სია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრებისა, რომლებიც არჩეული არიან თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

გ. ი. ელისაბედაშვილი
გ. ფ. ხომერიკი
ი. ფ. დმიტრიევი
ი. ს. ფრანგულიანი
ქ. ნ. გოგლიძე
შ. რ. ბაქრაძე
ს. ს. როსტიაშვილი

## მზადება ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავისათვის

**ლენინგრადი,** 9 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი მთავრობის კომისიის პირველი სხდომა.

განხილულ იქნა ღონისძიებანი, რომლებითაც აღნიშნული იქნება საიუბილეო თარიღი მიმდინარე წლის სექტემბერში. მოსკოვში, ლენინგრადში და ი. პ. პავლოვის სამშობლოში—რიაზანში მოეწყობა საზეიმო სხდომები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყობს სამეცნიერო სესიებს. სეჩენოვის სახელობის საკავშირო ფიზიოლოგიური საზოგადოების ფილიალები ჩვენი ქვეყნის ყველა მსხვილ ცენტრში ჩაატარებენ დიდი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებებს.

მიღებულია გადაწყვეტილება გამოიცეს ი. პ. პავლოვის სამეცნიერო და პოპულარული ბიოგრაფიები.

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია

**ლენინგრადი,** 7 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიის დილის პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ასტრონომიის, მათემატიკისა და ქიმიისადმი მიძღვნილი მოხსენებანი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კორესპონდენტმა პ. ს. ალექსანდროვმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა მათემატიკური სკოლის შესახებ.

— ჩვენი ქვეყნის მათემატიკოსთა შორის, რომლებმაც რუსი ხალხის ეროვნულ გენიას სახელი გაუთქვეს, პირველი რუსული სახელი იყო ნ. ი. ლობაჩევსკის სახელი. მან გადაწყვიტა სწვრივთა აქსიომის ორიათასწლიანი ამოცანა და ახალი გეომეტრიული სისტემა შექმნა. რუსული მათემატიკური სკოლის შექმნაში დამსახურება მიუძღვის მეორე გენიალურ მეცნიერსაც — პ. ლ. ჩებიშევს.

მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოთა პერიოდში წარმოიშვა მთელი პლეადა შესანიშნავი მეცნიერებისა, რომლებმაც ჩვენი სამშობლოს მათემატიკის მეცნიერება ერთ-ერთ პირველ ადგილზე დააყენეს მსოფლიოში. კერძოდ, მან დაასახელა აკადემიკოს ი. მ. ვინოგრადოვისა და ნ. ი. მუსხელიშვილის სკოლები.

პულკოვოს ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი ა. ა. მიხაილოვი თავის მოხსენებაში დაწვრილებით შეეხო პულკოვოს ობსერვატორიის მნიშვნელობას ასტრონომიის განვითარებისათვის.

აკადემიკოს ა. ე. არბუზოვის მოხსენება მიეძღვნა თემას: „ქიმია რუსეთში“.

— რუს ქიმიკოსთა მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებმა, — განაცხადა აკადემიკოსმა, — ძლიერი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს ქიმიის მეცნიერების განვითარებაზე.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა შესანიშნავი რუსი ქიმიკოსების მ. ვ. ლომონოსოვის, დ. ნ. მენდელეევის, ნ. ნ. ბეკეტოვის, ნ. ნ. ზინინის, ა. მ. ბუტლეროვის და სხვათა ნაშრომებზე და შეჩერდა აკადემიკოსების ა. ე. ფავორსკის, ნ. დ. ზელინსკის, ნ. ს. კურნაკოვისა და სხვების შესანიშნავ აღმოჩენებზე. რუს ქიმიკოსთა მეოხებით ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ვითარდება ქიმიის მეცნიერება და ქიმიური მრეწველობა.

საღამოს პლენარულ სხდომაზე მოხსენება „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და ჩვენი ქვეყნის მეცნიერების განვითარება“ გააკეთა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა.

— დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, — თქვა აკადემიკოსმა ვავილოვმა, — სრულიად ახალი ეპოქა შექმნა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე შეუქმნა მეცნიერებს მეცნიერული მუშაობის სრულიად უმაგალითო პირობები და მასშტაბი. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ძნელ დროში მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ექსპედიცია მოაწყო კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოსაკვლევად. 1925 წელს მეცნიერებათა აკადემია აღიარებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად. ახალი არჩევნების დროს აკადემიას შეემატნენ ახალი ძალები, საბჭოთა მეცნიერები და ინჟინრები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და ნიჭი გამოიჩინეს სოციალისტური მშენებლობის ასპარეზზე. სტალინურ ხუთწლედთა ეპოქაში აკადემიის გეგმებით ფართოდ აისახა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნები. დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია სრული დაძაბვით ეწეოდა მუშაობას ფრონტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მტერზე საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაში დიდი წილი უდევთ საბჭოთა მეცნიერებს.

— ომისშემდგომმა ეპოქამ, — ამბობს ამხ. ვავილოვი, — მეცნიერებისაგან მოითხოვა ძალების ახალი დარაზმვა. საბჭოთა მეცნიერი ძალების მოქმედების პროგრამას წარმოადგენდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები, რომ საჭიროა გადავაჭარბოთ უცხო ქვეყნების მიღწევებს.

დარბაზი ტაშით შეხვდა პრეზიდენტის დასკვნითს სიტყვებს, რომ საბჭოთა აკადემია მთელ ხალხთან ერთად პარტიის, მთავრობისა და გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კვლავაც იმ გზით ივლის, რომელსაც კომუნისტური საზოგადოებისაკენ მივყავართ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივის დირექტორის გ. ა. კნიაზევის მოხსენება: „მეცნიერებათა აკადემიის მუშაობა თავის ისტორიაზე“.

8 იანვარს სესია განაგრძობს მუშაობას.

## თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია

# კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

### ამხ. ვ. ბარბაქაძის სიტყვა

**(ლენინის რაიკომის მდივანი)**

გმირი ქალაქის — ლენინგრადის მშრომელთა პატრიოტულმა მოწოდებამ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ და მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ზეგეგმითი დაგროვებისათვის დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ლენინის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში.

გასულ წელს რაიონის სამრეწველო საწარმოები სისტემატურად ზრდიდნენ პროდუქციის გამოშვებას. მათ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა და გამოუშვეს 535.835 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წლიური გეგმა 110,8 პროცენტით შეასრულა. ქარხანამ სახელმწიფოს მისცა 1.719.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. რენტაბელური მუშაობის მაგალითს იძლევა 26 კომისრის სახელობის ქარხანა. კარგად მუშაობენ თბილისის საორთქლმავლო დეპოს, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნისა და ქარხანა „დაზგის", საელმავლო დეპოს, ჩაის საწონი ფაბრიკის, მე-4 სავაგონო უბნისა და სხვა კოლექტივები.

მაგრამ ამასთან ერთად რაიონის მთელი რიგი საწარმოების, მათ შორის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაობას ახასიათებს ბევრი სერიოზული ნაკლი, რომელთაც უნდა მიეკუთვნოს სამუშაოთა გრაფიკის დარღვევა, იერიშობანა, რაც პროდუქციის ხარისხს აუარესებს, მუშახელის დენადობა. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ამჟამად 1.700-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს. ბევრი მათგანი ყოველდღიურად ესაუბრება მსმენელებს, განუმარტავს მათ ჩვენი ქვეყნის შინაპოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობას. წარმოების მუშაკი აგიტატორები აგიტაციას ეწევიან არა მარტო სიტყვით, არამედ მაღალნაყოფიერი შრომის პირადი მაგალითითაც.

მაგრამ საგიტაციო მუშაობის დაყენებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ზოგიერთი აგიტატორი სუსტად მუშაობს, საუბრებისათვის არ ემზადება, სჯერდება მხოლოდ საგაზეთო მასალების წაკითხვას, რომლებიც ყოველთვის როდია მარჯვედ შერჩეული. ეს ნაკლოვანებანი ახასიათებენ უწინარეს ყოვლისა ბამბის სართავ ფაბრიკას, მარმარილოს დამმუშავებელ და პარკეტის ქარხნებს, რომელთა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აგიტაციის მაღალ დონეზე დაყენებას. უნდა ითქვას, პარტიის რაიკომიც სათანადო დახმარებას არ უწევს პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ამ მუშაობის გაუმჯობესებაში.

რაიონის კომუნისტთა უმრავლესობა ჩაბმულია პოლიტიკურ სწავლაში. ბევრი პოლიტსკოლა და წრე ნაყოფიერად მუშაობს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესასწავლად. წარმატებით მეცადინეობენ იმ წრეების მსმენელები, რომელთა პროპაგანდისტები არიან ამხ. მელაძე (კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორი), კვაჭაძე (ვაკეთა მე-15 სკოლა), გიორხელიძე (რკინიგზის საფერშლო სკოლის დირექტორი) და სხვები. მაგრამ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაშიც არის სერიოზული ნაკლოვანებანი: მეცადინეობას ხშირად აცდენენ ზოგიერთი იმ წრისა და პოლიტსკოლის მსმენელები, რომლებიც შექმნილია ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, № 7 სამკერვალო ფაბრიკაში, სამგზავრო სადგურში, გამყოლთა თბილისის რეზერვში. მსმენელთა მნიშვნელოვანი რიცხვი კონსპექტებს არ ადგენს. ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფილი არ არის ლიტერატურით.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები არასაკმაოდ უნერგავენ კომუნისტებს პოლიტიკური განათლებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთი მდივანი და კონსულტანტი სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების მეთოდს. არასაკმაო დახმარებას უწევს მათ იდეურ-პოლიტიკურ ზრდაში პარტიის რაიკომი. ამ მხრივ კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტიული კაბინეტიც სუსტად ეხმარება რაიონის პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტთა დამოუკიდებელი სწავლის საქმის გაუმჯობესებაში. პარტიულ-საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედ სემინარს ესაჭიროება კვალიფიციური ლექტორები, რაიონში კი ისინი არც ისე ბევრია. პარტიის რაიკომმა არაერთხელ მიმართა დახმარებისათვის საქალაქო პარტკაბინეტს, მაგრამ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ რჩებოდა, ამის გამო სემინარის მეცადინეობა რამდენჯერმე ჩაიშალა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება უნდა დაეხმაროს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს მოაგვარონ იმ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლა, რომლებსაც ესაჭიროებათ მეთოდური მითითებანი, კონსულტაციები და კვალიფიციური ლექციები. საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები არა მარტო კონტროლს უნდა უწევდნენ და იკვლევდნენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, არამედ საჭიროა პრაქტიკულადაც ეხმარებოდნენ მათ.

### ამხ. ვ. პანიევის სიტყვა

**(26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)**

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დიდი მუშაობა გასწია საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების, ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. ბევრი რამ გაკეთდა 26 კომისრის რაიონშიც. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ რვა წელს კომუნალურ მეურნეობაში მარტო რაიონული ბიუჯეტის სახსრებიდან დაბანდებულია 10,5 მილიონი მანეთი. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯულია ქუჩების კეთილმოწყობისათვის. მოასფალტებულია ხორცკომბინატისაკენ მიმავალი გზები, კეთილმოწყობილია ქალაქში შემოსავლელი გზა — კახეთის გზატკეცილი. რეკონსტრუირებული და მნიშვნელოვნად გაფართოებულია 5 დეკემბრის ქუჩა, მოწყობილია ახალი ტროტუარები 21 განაპირა ქუჩაზე, მოკირწყლულია 3 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა.

რაიონის პირობებში, სადაც ბევრია ძველი სახლი და შენობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1900 ათასი მანეთიდან, რაც შარშან გადადებული იყო რაიონის კომუნალური მეურნეობისათვის, მილიონზე მეტი დაიხარჯა საცხოვრებელი სახლების რემონტზე.

მიმდინარე რემონტის გეგმა შარშან 105 პროცენტით შესრულდა. კაპიტალურად შეკეთებულია 29 სახლი და მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 1.600-ს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ქუჩებისა და სკვერების გამწვანებას. ამ მიზნით შეიქმნა საკუთარი სანერგე.

მაგრამ რაიონის კეთილმოსაწყობად ჩატარებული მუშაობა მაინც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. არა მარტო განაპირა, არამედ ცენტრში არსებული ქუჩების ნაწილიც კი ჯერ კიდევ არ არის მოკირწყლული. მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი მოძველებული წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეკონსტრუქციისათვის. ნავთლუღის რაიონში კანალიზაცია დღემდე არ არსებობს. რაიონში არსებული კულტურისა და დასვენების ერთადერთი პარკი კეთილმოწყობილი არ არის.

ყველა ეს ნაკლოვანება იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი აჭიანურებს ცალკეულ სამშენებლო სამუშაოებს, არასაკმაოდ ზრუნავს მათი ხარისხისათვის.

26 კომისრის სახელობის რაიონში არსებობს დიდი ნაკვეთები, რომლებიც ვარგისია საცხოვრებელი და საუწყებო შენობების ასაგებად. ასეთი ნაკვეთები ცოტა როდია, კერძოდ, შაუმიანის ქუჩაზე. მიუხედავად ამისა, საქალაქო საბჭოს აღმასკომი და უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციები არ გეგმავენ ჩვენს რაიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

ქალაქის საბჭოში საჭირო მხარდაჭერას ვერ პოულობენ ვერც ინდივიდუალური მშენებლები. 70 მუშა-მოსამსახურიდან, რომელთაც სურვილი განაცხადეს აეგოთ საცხოვრებელი სახლები, ნებართვა მხოლოდ 5 კაცმა მიიღო. ხშირად საქმე მთავრდება მხოლოდ ნებართვით, მაშინ როცა ინდივიდუალურ მშენებლებს ესაჭიროებათ დახმარება ფულითა და საშენი მასალით.

გარდა ამ ნაკლოვანებებისა, რაისაბჭოს აღმასკომს სხვა გადაუჭრელი ამოცანებიც აქვს. 3790 მოსწავლეს წარმატება არა აქვს სწავლაში. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ჩვენ ვერ შევძელით სახელმძღვანელოებით უზრუნველგვეყო სომხური სკოლები. სათანადოდ ვერ არის მოწყობილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა სისუფთავე და წესრიგი დამყარდეს ქუჩებსა და ეზოებში.

ეჭვი არ არის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის დახმარებით უახლოეს მომავალში შევძლებთ აღმოვფხვრათ აღნიშნული ნაკლოვანებანი და მოვიპოვოთ წარმატებანი რაიონის შემდგომი კეთილმოწყობის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში.

### ამხ. კ. მორევის სიტყვა

**(ტრესტ „თბილმშენის" მმართველი)**

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება თბილისის შემდგომი კეთილმოწყობით. თვალსაჩინო ადგილი უკავია სამშენებლო სამუშაოებს. ქალაქს შეემატა ახალი საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო დაწესებულებათა შენობები. ტრესტის მიერ საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების მოცულობა 240 ათას კუბმეტრზე მეტს შეადგენს. აგებულია 4 სკოლა, საექსპლოატაციოდ გადაცემულია პიონერთა სასახლე, კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი, ორი საავადმყოფო, საბავშვო ბაგები. გაჩაღებულია სანაპიროს მშენებლობა. XVIII პარტიული კონფერენციის შემდეგ გასულ პერიოდში ტრესტმა 185 მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ტრესტის დამხმარე საწარმოთა განვითარებას. ნაცვლად ქალაქში დაქსაქსული ობიექტებისა, რომლებიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით არ შეეფერებიან თანამედროვე მოთხოვნებს, იქმნება ახალი ცენტრალიზებული ბაზა — სპეციალური სამშენებლო კომბინატი დიდუბეში. უკვე ამუშავებულია ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ბეტონის საამქრო და საორთქლავი კამერები, მექანიზებული საამქრო ბეტონის საკანალიზაციო მილების დასამზადებლად, მარმარილოს მოზაიკის საამქრო. სამშენებლო კომბინატში გადააქვთ ბაზა ტრესტის ლითონდამმუშავებელ ქარხნებსა და სანიტარულ-ტექნიკურ საამქროებს.

ტრესტის დამხმარე საწარმოთა განვითარების შედეგად გადიდდა სამშენებლო ობიექტების ინდუსტრიალიზაცია. თუ 1940 წელს იმ პროდუქციის მოცულობა, რასაც დამხმარე საწარმოები უშვებენ, მთელ სამშენებლო-სამონტაჟო მუშაობის მიმართ შეადგენდა 21,3 პროცენტს, 1948 წელს მან უკვე 46 პროცენტს მიაღწია. ახლა საჭიროა მივაღწიოთ დამხმარე საწარმოთა სიმძლავრის შემდგომ გადიდებას, მთლიანად განვტვირთოთ სამშენებლო მოედნები სამზადისი პროცესებისაგან, დავტოვოთ იქ მხოლოდ მზა შენობების მონტაჟი.

საჭიროა თავის დროზე ხდებოდეს მიღება სრული საპროექტო დოკუმენტაციისა, მათ შორის სამუშაო პროექტებისა, რომლებიც ითვალისწინებენ შენობის დეტალების შემდგომ ტიპიზაციას. ეს საშუალებას მისცემს ტრესტს შეიმუშაოს სამშენებლო სამუშაოთა სწორი ტექნოლოგია, გადავიდეს ჩქარ მშენებლობაზე, რაც თვითღირებულებას შეამცირებს.

უკანასკნელ წლებში შექმნილია სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის ბაზა. ჩატარებულია მექანიზმების რემონტისა და მომსახურებისათვის სპეციალისტთა კადრების მომზადება, რამაც გააადვილა ბევრი შრომატევადი პროცესი. მაგრამ კიდევ ბევრი მუშაობა მოგველის. საჭიროა მექანიზებულ იქნას საბათქაშო სამუშაოთა წარმოება, მასალების ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, შემცირდეს სამშენებლო მოედნებზე მექანიზმების რემონტისა და მონტაჟის ხანგრძლივობა, გაუმჯობესდეს რემონტის ხარისხი და ამაღლდეს მექანიზმების ექსპლოატაციის კულტურა.

დიდი მუშაობა გვმართებს მშენებლობის ღირებულების გასაიაფებლად, სამშენებლო კანტორებისა და დამხმარე საწარმოთა უზარალო მუშაობისათვის.

რამდენიმე სიტყვა ტრესტ „თბილმშენის" მიერ აგებულ შენობათა ექსპლოატაციაზე. ამ ცოტა ხნის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობა, მაგრამ იგი მეტად უშნოა. კედლები გათხუპნულია, ბათქაში ალაგ-ალაგ ჩამოცვენილია და სვეტები დაზიანებული.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის წინა მოედანზე, სადაც შესრულებულია ორიგინალური მოზაიკური ნახატი, რატომღაც მოწყობილია ავტომანქანების გაჩერება. ამის შედეგად მოზაიკა გასვრილია ზეთით და ბენზინით, დაფარულია ტალახით.

ცოტა მაგალითი როდი შეიძლება მოვიყვანოთ შენობებისა და ნაგებობათადმი უკულტურო მოპყრობისა. მშენებლები ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოსაგან მოითხოვენ სათანადო მეთვალყურეობას ახალ შენობათა ექსპლოატაციისადმი. დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ახალ სახლებში მცხოვრები მოქალაქენი უნდა ზრუნავდნენ ამ შენობათა დაცვისათვის, ფრთხილად იყენებდნენ საბინაო ფონდს.

### ამხ. მ. გუბარის სიტყვა

**(ჯარის ნაწილის დელეგატი)**

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულმა ძალებმა უდიდესი საბრძოლო და პოლიტიკური გამოცდილება დააგროვეს. ამ გამოცდილების განზოგადება და მის საფუძველზე ჩვენი არმიის ახალი შევსების სწავლება და აღზრდა, ბრძოლის თანამედროვე ტექნიკის დაუფლება, ჯარის მთელი პირადი შემადგენლობის სამხედრო ცოდნის, საბრძოლო ოსტატობის სრულყოფა — ასეთია არმიის ბოლშევიკების ძირითადი ამოცანა.

ამ ამოცანის შესრულება წარმოუდგენელია, თუ იდეურ-პოლიტიკურად არ აღვზარდეთ ჩვენი მებრძოლები და ოფიცრები, თუ თვითეული მათგანი ღრმად და ყოველმხრივ არ დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ვხელმძღვანელობთ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, ჩვენ ძირითად ყურადღებას ვუთმობთ ჯარების პირადი შემადგენლობის აღზრდისა და სწავლის დარგში მთელი ჩვენი მუშაობის იდეური დონის ამაღლებას. ამ მუშაობაში მუდმივი და აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიონ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები მოელიან მეტ და უკეთეს ლექციებს სამეცნიერო და პოლიტიკურ თემებზე. საქართველოს დედაქალაქ თბილისს ყავს შესანიშნავი მეცნიერული კადრები, ლექტორთა და პროპაგანდისტთა კადრები. საჭიროა, რომ ეს კადრები უფრო მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული არმიის ორგანიზაციებთან, მეტ დახმარებას უწევდნენ მათ. ჩვენ გვსურს ჩვენი რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე ვხედავდეთ მეტ მასალას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის გამოცდილების, პარტიის ისტორიისა და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების, პოლიტსკოლების მუშაობის პრაქტიკის შესახებ. საჭიროა აგრეთვე უფრო ფართოდ ჩავაბათ ჯარის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხებისადმი მიძღვნილი პარტიული აქტივის რაიონული და საქალაქო კრებების მუშაობაში. ეს ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს, იგი ხელს შეუწყობს პარტიული მუშაობის გამოცდილების გავრცელებას, პარტიული კადრების აღზრდას.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ აღმზრდელობითს მუშაობას უნდა ეწეოდნენ მოსახლეობაში, ყოველმხრივ აძლიერებდნენ ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, კერძოდ ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედისმოხრის წინააღმდეგ. „გლავკინოპროკატის" მუშაკებს ავიწყდებათ თავიანთი ამოცანა, რომ ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კინოხელოვნების ნაწარმოებებს და გადაჭარბებულ რეკლამას უკეთებენ საზღვარგარეთულ კინოფილმებს. ეს არასწორ ორიენტაციას აძლევს მაყურებელს.

### ამხ. ნ. ბარქალაიას სიტყვა

**(ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე)**

ომისშემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს მოსახლეობის სამედიცინო მოსახურება, გაფართოვდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი, 1940 წელთან შედარებით, 1948 წელს გაიზარდა 43,2 პროცენტით. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ქალაქის საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საექიმო დახმარება ბავშვებისადმი. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა დაავადებანი.

რამდენიმე სიტყვა საგარეუბნო კურორტების მდგომარეობის შესახებ. საჭიროა სასწრაფოდ გადაწყდეს მათი წყლით მომარაგებისა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. სასწრაფო რემონტს მოითხოვს აგრეთვე კურორტების საბინაო ფონდი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია უწყებრივი აგარაკები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. მაგრამ იგი დამაკმაყოფილებლად მაინც არ ჩაითვლება. მოსახლეობის რიცხვის ზრდისა და მრეწველობის განვითარების შედეგად ქალაქი განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. კანალიზაციის ქსელი ვერ მოიცავს მთელ გარეუბნებს. ნაგავი დროზე არ გააქვთ. ქალაქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, ხოლო სანიტარულმა ინსპექციამ — გააძლიეროს მეთვალყურეობა სისუფთავის დასაცავად. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროფესიულ დაავადებებთან და საწარმოო ტრავმატიზმთან ბრძოლას. უნდა მივაღწიოთ საწარმოთა სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში დიდი ადგილი უკავია ინფექციურ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას. იმისათვის, რომ ყველა ინფექციური და ინფექციაზე საეჭვო ავადმყოფების სრული ჰოსპიტალიზაცია ჩატარდეს, ქალაქს უნდა ჰქონდეს სპეციალური საინფექციო საავადმყოფო. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია.

ექიმების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში 260 კაცი გაიგზავნა. ადგილობრივ საავადმყოფოებსა და დიდ პოლიკლინიკებში გადამზადებულია 320 ექიმი და 500-ზე მეტი კაცი საშუალო სამედიცინო პერსონალიდან. ბევრი ექიმი გაიგზავნა დასახელოვნებლად საბჭოთა კავშირის ცენტრალური ქალაქების დიდ კლინიკურ საავადმყოფოებში.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ დიდი მუშაობა გასწია ექიმების შეთავსებათა ლიკვიდაციისათვის. განთავისუფლებულ ადგილებზე გაიგზავნა 920 ექიმი, რომელთა შორის 520 დემობილიზებულია.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები ყოველმხრივ გააუმჯობესებენ მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას, მოსახლეობისადმი საექიმო დახმარებას გახდიან უფრო კვალიფიციურს და ოპერატიულს.

### ამხ. ქ. ილურიძის სიტყვა

**(სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელი)**

საქალაქო პარტიული კონფერენცია მიმდინარეობს ახალი სამეურნეო წლის დამდეგს, როცა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა, შეაჯამეს რა გასული წლის დაძაბული მუშაობის შედეგები, ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ათასობით სტახანოველმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე წელი. ბევრმა მათგანმა 12 თვეში რამდენიმე წლიური გეგმა შეასრულა.

სამჭედლო საამქრო, რომელშიც მე ვმუშაობ, ქარხნის მოწინავე საწარმოო უბანია. მოსკოვის 35 საწარმოს კოლექტივთა მოწოდების პასუხად საამქროს კოლექტივმა გამონახა დამატებითი რეზერვები, გააუმჯობესა ტექნოლოგიური პროცესი და ამის შედეგად გასული წლის 10 თვეში ჩვენს ქვეყანას მისცა 212 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და 6 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. შრომის სწორმა ორგანიზაციამ და სამუშაო დღის მაქსიმალურად შემჭიდროებამ ჩვენს საამქროს საშუალება მისცა 10 თვეში 123 პროცენტით შეესრულებინა გასული წლის პროგრამა. ნოემბერსა და დეკემბერში ჩვენ მიმდინარე წლის ანგარიშში ვმუშაობდით. ამ წარმატების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა პროფესიათა მიხედვით მუშების შეჯიბრებამ, რაც ჩვენთან დაიწყო.

ჩვენი ქარხნის ბევრი სტახანოველი ჩაება შეჯიბრებაში პროფესიათა მიხედვით და შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუში მოგვცეს. სტახანოველი ორდენოსანი მჭედელი ამხ. გაბუნაშვილი ამჟამად 1952 წლის ანგარიშში მუშაობს. მას მხარდამხარ მიჰყვებიან მჭედლები ამხანაგები ხარჩილავა, გუგულაშვილი, ამბარცუმიანი, ჩომახიძე, ესებუა და სხვები. მრავალი მათგანი მაღალნაყოფიერი შრომისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად ჩვენი საამქროს კოლექტივი ჩაბმულია შეჯიბრებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ თვიური გეგმა შევასრულოთ ყრილობის გახსნის დღისათვის. სტახანოველთა სიტყვა მტკიცე სიტყვაა. ჩვენი ვალდებულება პირნათლად იქნება შესრულებული.

მე მსურს ამ ტრიბუნიდან მოთხოვნა წავუყენო პარტიულ ორგანიზაციებს,— მათ უფრო ხშირად უნდა შეგვკრიბონ თათბირზე მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. ასეთი თათბირები დიდ სარგებლობას მოგვიტანენ. ისინი ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეს.

### ამხ. გ. ლუარსაბოვის სიტყვა

**(მოლოტოვის რაიკომის მდივანი)**

მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციების უდავო მიღწევებს უნდა მივაკუთვნოთ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, შრომის მოწინავე სტახანოვური მეთოდების გამოყენება და გავრცელება. საწარმოთა უმეტესობამ ამ მძლავრი ბერკეტების გამოყენებით უკვე გასული წლის ოქტომბერში დაამთავრა ხუთწლედის გადამწყვეტი წლის — მესამე წლის პროგრამა და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თავისი ვალდებულებანი ზეგეგმითი დაგროვების საქმეში.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ ამ საწარმოების ნაწილი დაკმაყოფილდა მიღწეულით და შემდეგ თვეებში შეანელა მუშაობის ტემპი. კერძოდ, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკამ დეკემბრის გეგმა 89,4 პროცენტით შეასრულა, № 1 სამკერვალო ფაბრიკამ კი—მხოლოდ 60,4 პროცენტით. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე შეასრულა თავისი წლიური დავალება, ნოემბერსა და დეკემბერში ხშირად სცდებოდა იმის გამო, რომ კომბინატის წარმატებითმა მუშაობამ მოუმზადებელს მოუსწრო სახელგამის ხელმძღვანელობას. მან არ უზრუნველყო თავისი საწარმო არც შეკვეთებით და არც ნედლეულით. ასევე არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს № 1 სამკერვალო ფაბრიკის საქმიანობას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც არათანაბრად ამარაგებს მას ნედლეულით, არ უწევს საკმაო ტექნიკურ დახმარებას, რაც მით უმეტეს ესაჭიროება მას, რადგან ფაბრიკა დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

რაიონის ბევრი საწარმოს წარმატებაში დიდი როლი შეასრულა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეხამებამ სამეურნეო საქმიანობასთან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები და რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების პოლიტიკურ აღზრდას და წარმოებაში მათი ავანგარდული როლის გაძლიერებას. მიმდინარე სასწავლო წელს გაფართოებულია პარტიული განათლების ქსელი, ამაღლდა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების ხარისხი.

ამჟამად რაიონში მუშაობს 42 პოლიტსკოლა და 33 წრე, სალამოს პარტიული სკოლა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი. პარტიული განათლების ქსელის მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა წრეებისა და პოლიტსკოლებისათვის პროპაგანდისტთა კადრების გულდასმით შერჩევამ. პარტიული განათლების სისტემაში მუშაობს 75 პროპაგანდისტი, რომელთა შორის 58 კაცი უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონეა.

რაიონში პროპაგანდისტებისათვის შექმნილია სემინარი, რომელშიც ისინი იღებენ საჭირო მეთოდურ დახმარებას და კონსულტაციას. ბევრი პროპაგანდისტი კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას, იმაღლებს ცოდნას და აუმჯობესებს წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობის ხარისხს.

მაგრამ მათ შორის იყო ზოგიერთი ამხანაგი, რომლებმაც საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინეს. ამის წინათ რაიკომის ბიურომ პროპაგანდისტული მუშაობისაგან გაათავისუფლა და პარტიული სასჯელი დაადო ამხ. კობახიძეს (კარდიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია) წრის მეცადინეობის სისტემატური ჩაშლისა და სემინარზე დაუსწრებლობისათვის.

რაიონში დღითი დღე ძლიერდება ლექციური პროპაგანდა. გასულ წელს პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორებმა და რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის წევრებმა წაიკითხეს 460 ლექცია და მოხსენება, რომლებიც 29.424 კაცმა მოისმინა. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის ცალკეულ საკითხებზე ლექციების წაკითხვასთან ერთად, წაკითხულია ლექციების ციკლი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში, მარქსისტულ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში.

მეტი წილი ლექციებისა და მოხსენებების იდეური დონე მაღალია, დასწრება—საკმაო. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ლექციები ჩაიშალა საქალაქო პარტკაბინეტის მიზეზით, რომელიც თავის დროზე არ ატყობინებდა ლექტორებს ლექციების ჩატარების დღესა და თემებს.

საქალაქო პარტკაბინეტთან არსებობს ქალაქის დიდ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების სემინარი. მისი მეცადინეობა იშლება მთელი რიგი თვეების განმავლობაში, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილება ამაზე არავითარ ზომებს არ იღებს. შეიძლება ითქვან, პარტკაბინეტის ხელმძღვანელობა განახლებულია. მაგრამ დასახელებული სემინარის მუშაობაში არავითარი გაუმჯობესება არ მომხდარა. საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება არასაკმაოდ მუშაობს აგრეთვე ქალაქის ლექტორთა კადრების სწორად განაწილების საკითხზე.

როცა საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაობის ნაკლოვანებაზე ვლაპარაკობ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ზოგიერთი მისი მუშაკი არადამაკმაყოფილებლად ასრულებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებას ქალაქის მოსახლეობის წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლის შესახებ. ჩვენც, რაიკომის მუშაკები, არადამაკმაყოფილებლად ვასრულებთ ამ მითითებას.

საქალაქო კომიტეტის მუშაკები ნაკლებად გვეხმარებიან მუშაობაში. ისინი ძირითადად პარტიული აქტივის პლენუმებსა და კრებებს ესწრებიან, სხვა შემთხვევაში კი რაიონებში ისინი იშვიათად არიან. საქალაქო კომიტეტი საკმაოდ არ ახდენს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, არ აწყობს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

## სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი
### (ვასილ კიკვიძის დაღუპვის 30 წლისთავისათვის)

ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძე საბჭოთა ადამიანებისათვის ცნობილია როგორც სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი, ხალხის წიაღიდან წარმოშობილი და სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი. მას ახასიათებდა სახალხო გმირის შესანიშნავი თვისებანი: რევოლუ-



ციური გაქანება, გამბედაობა, ნებისყოფის სიმტკიცე, ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს და თავის ხალხის მგზნებარე სიყვარული.

ვასილ კიკვიძე გრიგალივით დაქროდა ბრძოლის ველზე, ყველგან სიხარული მიჰქონდა ჩაგრულთათვის და თავზარსა სცემდა მტრებს. განთავისუფლებული სტანიცებისა და ხუტორების მოსახლეობა უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა კიკვიძეს, იცოდა, რომ იგი მოსახლეობას არავის დააჩაგვრინებდა. პატიოსანი და პირდაპირი, მართალი და გულისხმიერი, კიკვიძე ვერ იტანდა უხეშობასა და თვითნებობას. სწორედ ამიტომ მას ხალხმა „ქართველი ჩაპაევი" შეარქვა.

— კიკვიძე და ჩაპაევი ერთი ყაიდის ადამიანები არიან, — ამბობდნენ მასზე,—ორივეს ახასიათებს ერთნაირი მგზნებარე ტემპერამენტი, ერთნაირი უნარი დივიზიის ერთი წადილით აღფრთოვანებისა და მისი გაძღოლისა.

კიკვიძემ თავისი სამხედრო მოღვაწეობა იმ დროს დაიწყო, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული არ იყო წითელი არმია. მან ეს მოღვაწეობა დაიწყო უკრაინაში წითელი გვარდიის რაზმების შექმნით, აქ გამოავლინა სამხედრო ხელოვნების კარგი ცოდნა, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლისადმი შეფიქრებული და ოსტატური ხელმძღვანელობის უნარი.

ვასილ კიკვიძე დაიბადა 1895 წელს ქ. ქუთაისში, ხელოსნის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს კიკვიძემ მოსწავლეთა შორის რევოლუციური პროკლამაციების გავრცელება დაიწყო, რასაც შედეგად მოჰყვა მისი გარიცხვა გიმნაზიიდან „თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის".

პირველი იმპერიალისტური ომის დროს ვასილ კიკვიძეს ჯარში იწვევენ და ცხენოსან პოლკში გზავნიან. ის აქაც აქტიურად ებმება ჯარისკაცთა რევოლუციურ მოძრაობაში. მას თვალყურს ადევნებენ და მალე აპატიმრებენ კიდეც. მაგრამ აი, დაემხო ცარიზმი და პატიმრობიდან განთავისუფლებული კიკვიძე გლუხოვის პოლკში შედის, სადაც ჯარისკაცები მას დივიზიის კომიტეტის თავმჯდომარედ ირჩევენ. 1917 წლის ნოემბერში იგი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კიკვიძე თავის ახლადშექმნილი რაზმით გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს ჰაიდამაკების წინააღმდეგ და ზედიზედ აღწევს გამარჯვებას. მან მონაწილეობა მიიღო ჟიტომირის, ბერდიჩევის, ხარკოვის, კიევის და უკრაინის სხვა მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლებაში. უკრაინის სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა ყველგან დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით ხვდებოდა მის ჯარისკაცებს, როგორც გერმანელ დამპყრობთა უღლისაგან განმათავისუფლებლებს.

ჩვენი არმიის სარდლობამ კიკვიძის მიერ „რიგდარეში ჩამოყალიბებული დივიზია" 1918 წლის ივნისის დამლევს ცარიცინის ფრონტზე გაგზავნა, სადაც წყდებოდა სამოქალაქო ომის ბედი. დიდი სტალინის გენიალური მხედართმთავრობით საბჭოთა არმიამ გმირულად დაიცვა ვოლგის ციხე-სიმაგრე—ცარიცინი და შემოსეულ მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ცარიცინის ფრონტზე კიკვიძის დივიზია მარჯვენა ფლანგს იცავდა და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გმირობის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდა.

წითელგვარდიული რაზმებიდან შედგენილი კიკვიძის დივიზია, რუსეთის რესპუბლიკის სამხრეთის ფრონტის არმიის 1918 წლის 14 ოქტომბრის № 26 ბრძანებით გადაკეთდა წითელი არმიის რეგულარულ სამხედრო ნაწილად და დაერქვა მე-16 ქვეითი დივიზია. მის მეთაურად კვლავ კიკვიძე დაინიშნა.

როგორც უკრაინაში, ისე ცარიცინთან მტრის ზურგში მოქმედების დროს ვასილ კიკვიძე თავისი მეომრებით პირდაპირ სასწაულებს ახდენდა, მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი განსაკუთრებულ სიდინჯეს, რკინისებურ ნებისყოფას, სწრაფ მოსაზრებულობას იჩენდა და მტერზე მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

კ. ოსიპოვი თავის წიგნში — „დივიზიის მეთაური კიკვიძე" მოგვითხრობს: „გაიგებდნენ თუ არა, კიკვიძე ჰახლობლად იბრძვისო, მთელი სოფლები წამოიშლებოდნენ ხოლმე, რომ მას თეთრი კაზაკების განადგურებაში დახმარებოდნენ. აჯანყდა სტანიცა პრეობრაჟენსკაია, აჯანყდნენ სოფლები — სემიონოვკა, ტროსტანკა, მაჩეხა... ამ სტანიცებისა და სოფლების პარტიზანებისაგან შედგა განსაკუთრებული პოლკი, პრეობრაჟენსკის პოლკი, რომელმაც დივიზიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა".

ასეთი იყო კიკვიძე, ასე იცნობდნენ მას ყველგან, სადაც თავისი დივიზიით თავისუფლება მიჰქონდა მტრის კლანჭებში დროებით ჩავარდნილი მოსახლეობისათვის.

1919 წლის 11 იანვარს ხუტორ ზუბრილოვთან ბრძოლის დროს ვასილ კიკვიძე სასიკვდილოდ დაიჭრა. ეს მისი მეთოთხმეტე ჭრილობა იყო. საყვარელი მეთაურისა და გმირი ადამიანის უდროო სიკვდილმა შურისგებით აღავსო ყველა მეომარი და მშრომელი კაზაკობა.

ვასილ კიკვიძე ჭეშმარიტად სახალხო გმირი იყო, რომლის სახელსაც სიყვარულით წარმოთქვამდა რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ვინც თვალს ადევნებდა წითელი არმიის გმირულ ბრძოლას. ეს სახელი ათასობით წითელარმიელს ეუბნებოდა: „სადაც კიკვიძეა, იქ დამარცხება არ შეიძლება. კიკვიძე ჩვენთან არის, ჩვენ გავიმარჯვებთ".

შემთხვევითი როდი იყო, რომ არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო კიკვიძის დაღუპვასთან დაკავშირებით დივიზიის პირადი შემადგენლობისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „თქვენი ბელადი კიკვიძე, რევოლუციის ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოვიდა... ჩვენს რიგებს გამოაკლდა კრასნოვის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მტერი. ამიერიდან მეთექვსმეტე დივიზიას ეწოდება კიკვიძის დივიზია. ამიერიდან კიკვიძის დივიზიამ მხოლოდ ერთი ლოზუნგი, ერთი ძახილი უნდა იცოდეს: ულმობელი შურისძიება თავისი ბელადის დაღუპვისათვის! სიკვდილი კრასნოველებს! მარადიული ხსოვნა გმირ კიკვიძეს!".

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე დაკრძალეს სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილ კიკვიძე, ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ ნიკოლოზ ბაუმანისა და პარტიზან ჟელეზნიაკის გვერდით.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის მეომრებს მუდამ თვალწინ ედგათ სამოქალაქო ომის სახელოვანი გმირების ჩაპაევის, შჩორსის, ლაზოს, კიკვიძის და სხვათა სახეები. ჩვენი მეომრები, მათი მაგალითით აღფრთოვანებულნი, ბრძოლებში გმირობისა და ვაჟკაცობის სასწაულებს ახდენდნენ და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მხედართმთავრობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ვერაგ მტრებზე. უკვდავი დიდების შარავანდედით შემოსეს საბჭოთა არმიის საბრძოლო დროშები.

სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა სახელოვან ტრადიციებზე იზრდებიან და მომავალშიც აღიზრდებიან კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობები.

ა. კაპანაძე

## სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია

### ორჯონიკიძის რაიონი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კრებებმა.

რეგისტრირებული არიან:

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 21 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად სერგო მელიტონის-ძე გაბელაია—პირველი უბნის სახალხო მოსამართლე;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი ა. ღვამიჩავა, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ნ. ლეჟავა და სხვა, სულ 75 კაცი;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 22 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — დომინიკა გრიგოლის ასული ხანთაძე — მეორე უბნის სახალხო მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად: საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ფ. კვაშალი, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის გამგე გ. ქემელაშვილი, ვაკის აგურის ქარხნის სტახანოველი მუშა ი. ცაბაძე და სხვ.;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 23 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — შალვა ივანეს-ძე ცინცაძე — მესამე უბნის სახალხო მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად: ექიმი გ. კუპრაშვილი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველი გ. მურადაშვილი და სხვ.

### 26 კომისრის რაიონი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების ყველა კანდიდატი, რომელნიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა.

რეგისტრირებული არიან:

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების № 24 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად ვლადიმერ ვასილის-ძე ტრაპაიძე — პირველი უბნის სახალხო მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად რეგისტრირებულია 75 კაცი;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების № 25 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — გიორგი ილიას-ძე ჯინჭველაშვილი — მეორე უბნის მოსამართლე;

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად პედაგოგი მ. შუბლაძე, ინსტრუმენტალური ქარხნის სამქროს უფროსი მ. ვაქარიანი, სტახანოველი ვ. კალანდაძე და სხვ.;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 26 საარჩევნო ოლქში — სახალხო მოსამართლის კანდიდატად — გრიგოლ ნესტორის-ძე ფილფანი, მესამე უბნის მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად რეგისტრირებულია 75 კაცი;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 27 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — მიხეილ ნესტორის-ძე ბუხრაშვილი, მეოთხე უბნის სახალხო მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად რეგისტრირებულია 75 კაცი;

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 28 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ვლადიმერ ირაკლის-ძე ხაინდრავა, მეხუთე უბნის სახალხო მოსამართლე.

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად რეგისტრირებულია 75 კაცი.

## იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში
### სამოკავშირეო საბჭოს წევრის გენერალ-ლეიტენანტ დერევიანკოს განცხადება

**ტოკიო,** 6 იანვარი. (საკდესი). 5 იანვარს შედგა იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა სსრ კავშირის წარმომადგენლის წინადადებით შეტანილი საკითხი „იაპონიის პოლიციის შესახებ". გენერალმა დერევიანკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„იაპონიის საპოლიციო ძალების საკითხს არაერთხელ მიუპყრია სამოკავშირეო საბჭოს წევრთა ყურადღება, და ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან იგი წარმოადგენს იაპონიის მიმართ მოკავშირეთა საოკუპაციო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

სამოკავშირეო საბჭოს წევრები ემყარებოდნენ შორეულ აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებას—„ძირითადი პოლიტიკა იაპონიის მიმართ კაპიტულაციის შემდეგ" და უკვე აღნიშნავდნენ პოლიციის ძალების ბაზაზე იაპონიის შეიარაღებული ძალების აღორძინების საფრთხის არსებობას, რასაც შეიძლება მოჰყვეს იაპონიის მხრივ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ახალი საფრთხის შექმნა. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რომლებიც არ დაუშვებენ იაპონიის სამხედრო ძლიერების აღდგენას.

კერძოდ, ასეთი საფრთხის არსებობას, რომელსაც იწვევს იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვის სისტემატური გადიდება, აღნიშნავდა სსრ კავშირის წარმომადგენელი საბჭოს 58-ე სხდომაზე 1948 წლის 28 აპრილს.

ამ უკანასკნელ დროს იაპონიაში იაპონური და ამერიკული პრესა ძალიან ფართოდ იხილავს იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვის ახალი გადიდებისა და მათი შეიარაღების გაძლიერების საკითხს. იაპონიის საპოლიციო ძალების გადიდების კამპანიაში ჩაებნენ ამერიკისა და იაპონიის მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლებიც.

ამასთან დაკავშირებით მე საჭიროდ მიმაჩნია კვლავ მივაქციო იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს ყურადღება იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვისა და შეიარაღების შემდგომი გადიდების სერიოზულ საფრთხეს.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ იაპონიის კაპიტულაციამდე იაპონიის სამოქალაქო პოლიციის რიცხვი უდრიდა დაახლოებით 56.000 ოფიცერსა და ჯარისკაცს. კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის პოლიციის პირადი შემადგენლობა მთავარსარდლის ნებართვით აყვანილ იქნა 93.900 კაცამდე, ე. ი. გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად კაპიტულაციამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით.

1947 წლის დეკემბერში იაპონიის პარლამენტმა, მთავარსარდლის შტაბის დასტურითა და მოწონებით, მიიღო ახალი კანონი პოლიციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პოლიციის ძალების რიცხვის გადიდებას 125.000 კაცამდე.

1948 წლის აპრილში მთავარსარდლის შტაბმა, სამოკავშირეო საბჭოსთან კონსულტაციის გაუწევლად და შორეული აღმოსავლეთის კომისიისათვის უცნობებლად, სანქცია მისცა იაპონიის პარლამენტის მიერ კიდევ ერთი კანონის მიღებას — ეგრეთწოდებული „ზღვაზე წესრიგის დამცველი დეპარტამენტის" შექმნის შესახებ, რომლის გამგებლობაშიც შედის 10.000 კაცისაგან შემდგარი საზღვაო პოლიცია.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ იაპონიის მთავრობამ, რასაკვირველია, არც თუ მთავარსარდლის შტაბის დასტურის მიუღებლად, შექმნა კიდევ სარკინიგზო პოლიცია, რომელსაც საპოლიციო ჟურნალ „კეისაცუ კენკოში" № 19, 1948 წლის 10 აგვისტო, ეწოდება „მოძრავი პოლიცია". ზოგიერთი ცნობით, მის შემადგენლობაში არის 15-დან 20 ათასამდე შეიარაღებული პოლიციელი. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საზღვაო, ისე სარკინიგზო პოლიცია, არ შედის 125 ათასში, რომელიც დადგენილია პოლიციის შესახებ ზემოაღნიშნული კანონით.

ამრიგად, იაპონიის კაპიტულაციის მომენტიდან მისი საპოლიციო ძალები გაიზარდა 2,5-ჯერ და უფრო მეტად. ამ ფაქტის დამადასტურებელია იაპონიის გაზეთების მიერ 1948 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნებული „კიოდოს" სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ცნობების თანახმად, 1948 წლის ოქტომბრის დამლევისათვის პოლიციის სამსახურში იმყოფებოდა 141.206 კაცი. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება, ადგილი აქვს იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვის გადიდებისა და შეიარაღების შემდგომი გაძლიერების მისწრაფებას.

მაგალითად, „პასიფიკ სტარს ენდ სტრაიპს" 1948 წლის 21 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სამხედრო დეპარტამენტები ამუშავებენ ეგრეთწოდებულ „ახალ პოლიტიკას იაპონიის მიმართ", რომლის თანახმად „...იაპონიას ნება მიეცემა პოლიციის ძალების რიცხვი აიყვანოს 150.000 კაცამდე, რომლებიც კარგად უნდა იყვნენ შეიარაღებულნი და გაწრთვნილნი".

ასეთივე წინადადებით იაპონიის პოლიციის რიცხვის 150.000-დე გადიდების შესახებ ჯერ კიდევ 1948 წლის 13 სექტემბერს გამოდიოდა ამერიკის მერვე საოკუპაციო არმიის ყოფილი სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ეიკელბერგერი.

იაპონიის ახლანდელი მთავრობა აჩქარებით ჩაეჭიდა ამერიკის ამ წინადადებას იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვისა და შეიარაღების გადიდების შესახებ. პრემიერ-მინისტრი იოსიდა მოითხოვს ამ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ზემოთ ნახსენებმა გენერალმა ეიკელბერგერმა, ტოკიოს რადიოს 15 დეკემბრის ცნობით, წამოაყენა უფრო შორს მიმავალი მოთხოვნა — იაპონიის პოლიციის რიცხვის 275.000-დე გადიდების შესახებ.

იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებული იუნაიტედ პრესის კორესპონდენტის ვ. მაკდუგოლის ცნობის თანახმად, განზრახულ 275.000 კაცში უნდა შევიდეს 100-დან 150 ათასამდე კაცი სახელმწიფო პოლიციის შეიარაღებული ძალებისა, რაც წარმოადგენს იაპონიის ძველი პოლიციის აღდგენას და რასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს იაპონიის არმიის კადრების აღდგენას.

იაპონიის პოლიციის რიცხვის გადიდებისა და მისი შეიარაღების გაძლიერების მოთხოვნას არ შეუძლია ჩვენი ყურადღება არ მიიპყროს იმიტომ, რომ, ამ ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში, იაპონიის საპოლიციო ძალების რიცხვი ფრიად დიდ რაოდენობას მიაღწევს და ფაქტიურად შეადგენს დაახლოებით 300.000 კაცს.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ იაპონიამ, რომელსაც რეგულარული არმიის შემადგენლობაში 1925 წელს ჰყავდა 17 ქვეითი დივიზია დაახლოებით 200.000 კაცის საერთო რაოდენობით, ხუთი წლის შემდეგ შეძლო დაეწყო მანჯურიის დაპყრობა.

ამ პრეცედენტის მიხედვით სავსებით ცხადი ხდება, რომ იაპონიის ისედაც მრავალრიცხოვანი პოლიციის გადიდება იაპონიის შეიარაღებული ძალების აღდგენის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ ზოგიერთი ოფიციალური პირი იაპონიაში იაპონიის საპოლიციო ძალებს განიხილავს როგორც მომავალი რეგულარული არმიის ხერხემალს, წარმოადგენს იაპონიის სახელმწიფო პოლიციის შტაბის უფროსის საიტოს განცხადება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1948 წლის 22 მარტს გააკეთა პარლამენტის ერთ-ერთ კომისიაში.

საიტოს განცხადების ძირითადი აზრი ის არის, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს შექმნას საპოლიციო რაზმები თვითეული 10.000 კაცის რაოდენობით, რომლებიც უნდა იყვნენ კარგად შეიარაღებულნი და გაწრთვნილნი, მომარაგებულნი სატრანსპორტო საშუალებებით და „მუდმივ მზადყოფნაში".

ამ უკანასკნელ დროს იაპონიის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები პოლიციის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ მოწმობენ, რომ იაპონიის სახელმწიფო პოლიციის უფროსის მიერ გამოთქმული გეგმები უკვე ხორციელდება.

მაგალითად, გაზეთ „იომიურის" 1948 წლის 14 ნოემბრის ცნობის თანახმად, ქალაქ ტოკიოში 13 ნოემბერს ჩატარდა მასობრივი განსაკუთრებული შეკრება და დათვალიერება დედაქალაქის პოლიციის 6 რაზმისა 12.000 კაცის საერთო რაოდენობით.

საპოლიციო რაზმების ამგვარი მასობრივი განსაკუთრებული შეკრებები ტარდებოდა სხვა ქალაქებშიც, კერძოდ, 9 სექტემბერს ქალაქ ფუკუოკაში, 26 ნოემბერს ქალაქ ოსაკაში.

პრესის ცნობებიდან აგრეთვე ჩანს, რომ იაპონიის მთავრობა კვლავ ქმნის საპოლიციო ჯარების ცენტრალიზებულ სამმართველოს, რისთვისაც იქმნება საპოლიციო შტაბები მთელი იაპონიის საპოლიციო ძალებისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით.

ოსაკის მუნიციპალური პოლიციის უფროსის სუძუკის განცხადების თანახმად, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ჩუკა კოკუსაიში" 1948 წლის 16 ნოემბერს, დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს ინიციატივით 1948 წლის 12 ნოემბერს შეიქმნა ეგრეთწოდებული „მთავარი ქალაქების საპოლიციო ძალების საკოორდინაციო საბჭო".

პრესაში აღნიშნული იყო, რომ ამ საბჭოში შევლენ 10 მთავარი ქალაქის — ტოკიოს, ოსაკის, კიოტოს, იოკოჰამის, კობეს, ნაგოის, საპოროს, სენდაის, ხიროსიმას და ფუკუოკის საპოლიციო ძალების წარმომადგენლები.

აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა დედაქალაქის პოლიციის უფროსი ტანაკა და მისი მოადგილეა ზემოხსენებული სუძუკი (ოსაკის მუნიციპალური პოლიციის უფროსი).

გაზეთი „ჩუკა კოკუსაის" სიტყვით, სახელმწიფო პოლიციის შტაბის უფროსი საიტო და პოლიციის შტაბების უფროსები ამ ორგანოში რეკომენდებულ იქნებიან როგორც მრჩევლები.

აქედან ჩანს, რომ ახლად შექმნილი ხელმძღვანელი ორგანო არსებითად იქნება იაპონიის საპოლიციო ძალების მთავარი შტაბი და ფაქტიურად კონტროლს გაუწევს საპოლიციო ძალებს იაპონიის ყველა დიდ ცენტრში.

საპოლიციო რაზმებისა და შტაბების ყველა ეს ღონისძიება, როგორც უნდა ნიღბავდნენ მათ, ძალიან მოგვაგონებენ სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო შტაბების შექმნისა და მომზადების ღონისძიებებს. იაპონიის პოლიციის შექმნა იაპონიის ექვს რაიონში, რომლებიც ტერიტორიულად ემთხვევიან წინათ არსებულ ექვს სამხედრო ოლქს, საფუძველს იძლევა დავაყენოთ საკითხი—ხომ არ არის აქ ცდა შეინარჩუნონ წინათ არსებული სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იაპონიაში, „კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის მიმართ ძირითადი პოლიტიკის შესახებ" შორეულ აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკური გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, არსებობს საიდუმლო პოლიცია. ამას მოწმობენ პრესის ცნობები, იაპონიის პროფკავშირთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პეტიციები სამოკავშირეო საბჭოს ზოგიერთი წევრისადმი და სხვა მასალები.

მაგალითად:

1. სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ოსაკის განყოფილების იმ დელეგაციის ცნობაში, რომელმაც 1948 წლის 10 აგვისტოს საბჭოთა წარმომადგენლობა ინახულა, აღნიშნულია, რომ „ოსაკის პოლიციის უფროსმა სუძუკიმ კაპიტულაციამდელი საპოლიციო რეჟიმი დაამყარა და აღადგინა საიდუმლო პოლიცია, რომელიც ერევა პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ყველა წვრილმანში".

2. ოსაკის რაიონის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაერთიანებული კომიტეტის" 1948 წლის 20 აგვისტოს მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „პოლიციის უფროსი სუძუკის საქციელმა ანტიფაშისტური სახალხო მიტინგის დროს განსაკუთრებით ცხადყო მისი განზრახვა აღადგინოს სპეციალური საიდუმლო პოლიცია. მან სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ პოლიციელებს მისცა მითითება, რომ დემონსტრანტთა რიგებში შეპარულიყვნენ და ჩაეშალათ დემონსტრაცია. სუძუკის აგენტების პროვოკაციული მოქმედების შედეგად დაპატიმრებულია დემონსტრაციების მონაწილე 11 მუშა.

ასეთივე შემთხვევა მოხდა 15 ივლისს დემონსტრაციის დროს ფასების ზრდის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგის შემდეგ".

3. პრესის ცნობით, 4 სექტემბერს კიოტოში ახალგაზრდების ანტიფაშისტური მიტინგის დროს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები შეეცადნენ დაეპატიმრებინათ მიტინგზე გამოსულნი. დასასრულ მათ სცემეს მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც უნდოდა ამ პოლიციელთა ფოტო-სურათის გადაღება.

4. გაზეთმა „ასახიმ" 25 ნოემბერს გამოაქვეყნა ქალაქ ივატეს კრების წევრის მორიტა კენიცის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი თავის აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქალაქ ივატეს პოლიცია თავის მუშაობაში სარგებლობს საიდუმლო პოლიციის მეთოდებით.

როგორც მორიტა აცხადებს, ქალაქ ივატეს საპოლიციო ხელისუფლებმა პოლიციის შესახებ მოსახლეობის აზრის შესწავლის მიზნით მოსახლეობას დაურიგეს შესაბამისი კითხვარები თხოვნით—შეევსოთ ისინი გვარის მოუწერლად და გაეგზავნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიაში. პასუხებისათვის თვითეულ წერილში პოლიციამ ჩადო კონვერტები საპოლიციო სამმართველოს მისამართით და საფოსტო მარკებით, რომელთა მეორე მხარეზე რიგითი ნომრები იყო იმ მიზნით, რომ შემდეგში გამოერკვიათ პოლიციის „ანონიმურ" ანკეტაზე პასუხების ავტორთა გვარები.

ყოველივე ეს, აგრეთვე სხვა არსებული მასალები მოწმობენ იაპონიის საიდუმლო პოლიციის საქმიანობის აღორძინებას, რომლის ხელმძღვანელობასაც ახორციელებენ საპოლიციო ორგანოების საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილებანი".

შემდეგ გენერალმა დერევიანკომ საბჭოს განსახილველად შეიტანა შემდეგი წინადადებანი:

„1. შეიზღუდოს იაპონიის პოლიციის რიცხვი 125 ათასი კაცით, რაც გათვალისწინებულია იაპონიის პარლამენტის 1947 წლის 8 დეკემბრის კანონით.

2. აიკრძალოს პოლიციის შესახებ მოქმედი კანონ-დებულების რაიმე გადასინჯვა პოლიციის პირადი შემადგენლობის აღნიშნული რაოდენობის გადიდებისა და მისი შეიარაღების გაძლიერების მხრივ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე.

3. უზრუნველყოფილ იქნას შორეულ აღმოსავლეთის კომისიის 1947 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების შესრულება იაპონიის ყველა საიდუმლო საპოლიციო ორგანიზაციის დათხოვნის შესახებ".

ამის შემდეგ ვრცელი განცხადებით გამოვიდა სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარე ამერიკელი სებოლდი, რომელიც შეეცადა სადავოდ გაეხადა გენერალ დერევიანკოს მიერ მოყვანილი ციფრები იაპონიის პოლიციის რიცხვის 125 ათასზე მეტით გადიდების შესახებ. სებოლდი უარყოფდა აგრეთვე იაპონიის საპოლიციო ძალების შტაბებისა და ამ ძალების ცენტრალიზებული სამმართველოს შექმნის ფაქტს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ვერ შეძლო უარეყო ამერიკული და იაპონური პრესის ცნობები იაპონიის პოლიციის უაღრესად გაზრდილი კადრების მომზადების შესახებ მათგან იაპონიის ახალი არმიის შესაქმნელად, რაზედაც მიუთითებდა საბჭოთა წარმომადგენელი სამოკავშირეო საბჭოში.

ინგლისის წარმომადგენელი შოუ, თუმცა დაეთანხმა სებოლდის მთელ რიგ მტკიცებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა სურვილი გამოთქვა, საჭიროა აღკვეთილ იქნას ის, რომ „იაპონიის საპოლიციო ძალები ეროვნული არმიის ან ჟანდარმერიის ჩანასახი გახდნენ". ჩინეთის წარმომადგენელმა გენერალმა შანმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ „ძლიერი და კარგად შეიარაღებული პოლიცია შეიძლება თანდათან გადაიქცეს სამხედრო ორგანიზაციად რეაქციული, ელემენტებისა და იაპონიის სამხედრო ხროვის ნაშთების მანიპულაციათა მეოხებით". მან გენერალ მაკართურს ურჩია სასტიკი მეთვალყურეობა დააწესოს იმ მიზნით, რომ აღკვეთილ იქნას საპოლიციო ძალების ბაზაზე იაპონიის სამხედრო ძლიერების შესაძლო აღდგენა.

დასასრულ კვლავ გამოვიდა გენერალი დერევიანკო, რომელმაც განაცხადა, რომ სებოლდმა ვერაფრით ვერ შეძლო უარეყო საბჭოთა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები იაპონიის პოლიციის რაოდენობისა და შეიარაღების სისტემატური გადიდების შესახებ, ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა განზრახვის შესახებ, რომ აღადგინონ ცენტრალიზებული საპოლიციო ადმინისტრაცია.

ამით დამთავრდა სამოკავშირეო საბჭოს სხდომა.

## პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი 1948 წელს მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მებოსტნეობაში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შედეგების შესახებ და დასახა ამოცანები 1949 წლისათვის.

შარშან ინდივიდუალურ და კოლექტიურ მებოსტნეობას ეწეოდა 19 მილიონამდე მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. მათ მოიწიეს 875 მილიონ ფუთზე მეტი კარტოფილი და ბოსტნეული.

ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბოსტნებში კარგი მუშაობისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის ბევრ პროფკავშირულ ორგანიზაციას მიეკუთვნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, სიგელები და ფულადი პრემიები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა 1949 წელს ყოველმხრივ განავითარონ ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობა, ამ საქმეში ჩააბან ახალი მუშა-მოსამსახურენი, დაეხმარება გუწიონ მებოსტნეებს ხარისხოვანი სათესლე მასალის შეძენაში.

(საკდესი).

## არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნ ლითონნაკეთობათა შესწავლა

საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარების გამო ჩვენ სპეციალისტ-მეტალურგებს შორის დიდ ინტერესს იწვევს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნ ლითონის ნაკეთობათა მეტალურგიული და მეტალოგრაფიული შესწავლა.

მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში უკვე შეუდგნენ არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ლითონების შესწავლას, რასაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. თავაძე ხელმძღვანელობს. შესწავლის შედეგად დადგენილი იქნება, თუ რა დონეზე იდგა ანტიკურ საქართველოში ტექნიკური კულტურა და როგორ იღებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები ლითონისაგან სახმარ ნაკეთობებს.

## ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ლიდერთა გასამართლების გამო

**ნიუ-იორკი,** 9 იანვარი. (საკდესი). კომპარტიის 12 ბრალდებული ლიდერის ადვოკატებმა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოს სთხოვეს—გადასდოს გასამართლება (იგი უნდა დაიწყოს ნიუ-იორკში 17 იანვარს) იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულთ არა მარტო უკანონოდ აქვთ წაყენებული ბრალდებანი, არამედ ავტომატურად არიან მოკლებული სამართლიან და მიუკერძებელ გასამართლებას. სასამართლო ორგანოების ეს უპრეცედენტო მოქმედება მოყვანილია იურიდიულ დოკუმენტებში, რომლებიც ემყარებიან უმაღლესი სასამართლოს წინა გადაწყვეტილებებს, სახელდობრ, რომ უმაღლეს სასამართლოს არა ერთხელ შეუცვლია ბრალდება იმ საფუძველით, რომ ეს ბრალდება გამოუტანიათ ისეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს, რომელნიც არ ყოფილან მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

ეს დოკუმენტები აგრეთვე შეიცავენ ვრცელ სტატისტიკურ მასალას, რომელიც ადასტურებს დაცვის ადვოკატთა მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის 12 ლიდერს ბრალი დასდო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და ისინი წარუდგებიან ნაფიც მსაჯულთა ეგრეთწოდებულ მცირე სასამართლოს, რომელიც არჩეულია იმ სისტემის შესაბამისად, „რის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში განზრახ და სისტემატურად შეჰყავთ მდიდარი მესაკუთრენი და შეძლებულნი, მაშინ როცა სხვა კლასების წარმომადგენლებს, მათ შორის შევიწროებულ ეკონომიურ პირობებში მყოფ უმუშევრებს, დღიურად ან საათობით მომუშავე ფიზიკური შრომის მუშაკებს, ზანგებს, სხვა რასობრივ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს და უმცირესობის პოლიტიკურ პარტიათა წევრებს, განზრახ და სისტემატურად გამორიცხავენ".

დოკუმენტებში მოყვანილია დაცვის ადვოკატების მიერ იმ 7.000-ზე მეტი კაცის გულმოდგინედ შესწავლის შედეგები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სიებში შეუტანიათ ნიუ-იორკში 1940 წლიდან. ეს ცნობები ცხადყოფენ, რომ, თუმცა მსხვილ მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით მოსახლეობის 9 პროცენტს უდრის, მაგრამ ეს მეწარმენი ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის ნაფიც მსაჯულთა სიებში 45 პროცენტს შეადგენენ და, პირიქით, თუმცა ფიზიკური შრომის მუშაკები მოსახლეობის 55 პროცენტს შეადგენენ, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა მხოლოდ 5 პროცენტი ეკუთვნის მოსახლეობის ამ კატეგორიას.

დაცვის ადვოკატების ჯგუფს, რომელმაც ეს დოკუმენტები წარადგინა, მეთაურობს ცნობილი ადვოკატი ზანგი ჩარლზ ჰაუსტონი, რომელიც მრავალი წელია დაკავშირებულია „ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობ ეროვნულ ასოციაციასთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამერიკული პრესა კონგრესისადმი ტრუმენის წერილის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთები კომენტარს უკეთებენ ტრუმენის წერილს შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ და სხვადასხვანაირად აფასებენ მას. მეტი წილი რეაქციული გაზეთები, რომლებიც მსხვილ მეწარმეთა თვალსაზრისს გამოხატავენ, არავითარ შიშს არ იჩენენ ტრუმენის ეგრეთწოდებული „რეფორმატორული" წინადადებების გამო. როგორც ჩანს, ეს წინადადებანი მიაჩნიათ მხოლოდ დემაგოგიურ დეკლარაციად, რასაც მიზნად აქვს მოიპოვოს ხალხის მხარდაჭერა ცივ ომში. და არა მთავრობის მოღვაწეობის ნამდვილ პროგრამად. მაგალითად. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", თუმცა არ ეთანხმება წინადადებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების შენარჩუნებისა და ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმების შესახებ, იზიარებს ტრუმენის დანარჩენ წინადადებათა საერთო „მიზანს". მაგრამ გაზეთი ცხადყოფს, რომ ეს მოწონება დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ ახლო მომავალში არაფერი არ გაკეთდება ამ მიზნების მისაღწევად.

გაზეთი „ჯორნალ ოფ კომერსი" აგრეთვე აღნიშნავს, რომ, თუმცა ტრუმენი წინადადებას იძლევა გაუქმებულ იქნას ტაფტ-ჰარტლის კანონი, მაგრამ ამავე დროს იგი აყენებს ისეთ წინადადებებს, რომლებიც აშკარად მიმართულია იმავე მიზნების მისაღწევად.

ბევრი სხვა კონსერვატიული გაზეთი, რომლებიც თავის დროზე მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ რუზველტის რეფორმებს, აგრეთვე შემწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენს ტრუმენის წინადადებებისადმი, რადგან, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ეს წინადადებანი ქაღალდზე დარჩებიან, ისე როგორც დღემდე იყო.

გაზეთი „დეილი უორკერი" აცხადებს, რომ წერილი „შედგენილია ტრუმენისათვის ტიპური სტილით. იგი დაწერილია ლამაზი ფრაზებით, რომლებიც რუზველტის სტილს ბაძავენ. მაგრამ როცა ეს პროგრამა კონკრეტულ სინამდვილედ გადაიქცევა, იგი იმ პროგრამად იქცევა, რასაც ბანკირები, გენერლები და საჭურვლის მწარმოებელი ტრესტები მოითხოვენ".

ტრუმენი, წერს შემდეგ გაზეთი, აცხადებს, რომ იგი მომხრეა ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშური კანონის გაუქმებისა, მაგრამ გვთავაზობს ანტიმუშურ ღონისძიებებს და ხელფასის გაყინვის უფლებას. არჩევნების წინ მან გაილაშქრა მსხვილ მეწარმეთა წინააღმდეგ, ამჟამად კი მათ ახალ სამხედრო კონტრაქტებს სთავაზობს. არჩევნების წინ იგი მშვიდობის იმედს იძლეოდა და ფიქრობდა გაეგზავნა ვინსონის მისია, ამჟამად კი გვთავაზობს უფრო დიდ პროვოკაციებს ცივი ომის დარგში.

## ამერიკის შეერთებული შტატების სენატში

**ვაშინგტონი,** 6 იანვარი. (საკდესი). ამერიკის სენატის გუშინდელ საღამოს სხდომაზე მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ტრუმენმა გამოაცხადა მიმართვა, ზოგიერთმა რესპუბლიკელმა, მათ შორის ვანდენბერგმაც. მკვეთრად დაგმო, როგორც მუქარა ეგრეთწოდებული ორპარტიული საგარეო პოლიტიკისადმი, დემოკრატიული უმრავლესობის გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა კომისიაში რესპუბლიკელთა წარმომადგენლობის ხუთ ადგილამდე შემცირების შესახებ. დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა 4 იანვარს გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს 8 დემოკრატი და 5 რესპუბლიკელი, ნაცვლად წინანდელი შემადგენლობისა, რომელშიც შედიოდა უმრავლესობის 7 წევრი და უმცირესობის 6 წევრი

სენატში დემოკრატთა „ხელმძღვანელმა კომიტეტმა", რომელიც შედგება 11 გამოჩენილი დემოკრატი სენატორისაგან ბერკლის ხელმძღვანელობით, დემოკრატიული პარტიის წევრები დანიშნა საგარეო საქმეთა კომისიაში. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა კონელი (ტეხასის შტატისაგან).

კომისიის ყოფილი წევრი ბერკლი გავიდა კომისიის შემადგენლობიდან ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მის არჩევასთან დაკავშირებით. ფიქრობენ, რომ კომისიის წევრ ხუთ რესპუბლიკელთა შორის იქნებიან სენატორები ვანდენბერგი, უეილი, სმიტი, ჰიკენლუპერი და ლოჯი, რომლებიც კომისიის წევრებად იყვნენ წინანდელი კონგრესის მუშაობის დროს.

დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა განამტკიცეს თავიანთი კონტროლი სხვა ყველაზე მნიშვნელოვან კომისიებში, მოიპოვეს უმრავლესობა 8 ადგილის რაოდენობით (რესპუბლიკელებს ეძლევათ 5 ადგილი).

## ამერიკული ჟურნალი ამერიკის შეერთებული შტატების მიმდინარე ბიუჯეტის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 6 იანვარი (საკდესი). შეერთებულ შტატებში მიმდინარე ბიუჯეტით უდიდესი თანხები იხარჯება სამხედრო მიზნებისათვის და ეგრეთწოდებული „დახმარებისათვის" „მარშალის გეგმის" მიხედვით. ამავე დროს ამერიკელი ხალხის საარსებოდ საჭირო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სრულიად არასაკმაო სახსრები იხარჯება. მაგალითად, მიმდინარე საბიუჯეტო წელს შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი. გარდა ასიგნობებისა „მარშალის გეგმის" მიხედვით, 14 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენს. განათლებისათვის კი ასიგნობანი სულ 250 მილიონ დოლარს შეადგენენ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ შეერთებულ შტატებში მწვავედ იგრძნობა სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და სხვ. ნაკლებობა.

ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუსი", ემყარება რა საზოგადოებრივ სამუშაოთა ფედერალური სამმართველოს მიერ მოხდენილ გამოკვლევას, წერს, რომ მარტო შტატების მთავრობებს უნდა დაეხარჯათ დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამასთან ჟურნალი აღნიშნავს, რომ ამ ციფრში არ შედის ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ფედერალური პროექტების" განხორციელებასთან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება „უფრო მეტი მილიარდები".

შემდეგ ჟურნალს მოჰყავს ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა, მაგალითად, ამჟამად შტატებს ესაჭიროებათ 10,5 მილიარდი დოლარი ახალი დაწყებითი და საშუალო სკოლების ასაგებად, რათა დაკმაყოფილებულ იქნას საარსებო საჭიროება დაწყებითი და საშუალო განათლების დარგში (მარტო ოფიციალური ცნობებით ამჟამად შეერთებულ შტატებში 6 მილიონამდე ბავშვს არა აქვს შესაძლებლობა სკოლაში იაროს). ახალი საავადმყოფოების ასაგებად საჭიროა 8,5 მილიარდი დოლარი. ქალაქების წყალმომარაგების მოუვლელი სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა 9,5 მილიარდი დოლარი. ათობით მილიარდი დოლარი საჭიროა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ასაგებად, პარკების, სტადიონების მშენებლობისათვის, გზატკეცილების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, განსაკუთრებით მთიან ადგილებში. მაგრამ საზოგადოებრივ სამუშაოთა ფედერალური სამმართველოს ცნობით, 1948 წლის მარტში შტატების მიერ დაგეგმილი იყო ამ მიზნებისათვის მიმდინარე საბიუჯეტო წელს გადაედოთ 2,5 მილიარდ დოლარზე ნაკლები აქედან საავადმყოფოების ასაგებად 138 მილიონამდე დოლარი; საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ასაგებად და პარკების გასაშენებლად—218 მილიონამდე დოლარი.

პრესის ცნობებისა და მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებათა მიხედვით, აღნიშნული მიზნებისათვის ფედერალურ ასიგნობებში არავითარი განსაკუთრებული გადიდება მომავალ საბიუჯეტო წელს მოსალოდნელი არ არის. პირიქით, მოელიან უფრო მეტ ასიგნობებს სამხედრო მიზნებისათვის.

## ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების აქტივობა ტრანსიორდანიაში

**ნიუ-იორკი,** 9 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კირენიიდან (კუნძული კვიპროსი) იუწყება, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები პატრულობენ ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე და ადიდებენ სამხედრო საჭურვლის მარაგს, რაც ეგვიპტის ბაზებიდან მაფრაკსა და აქაბას გადმოაქვთ. ბენზინის მარაგი, რაც განკუთვნილია ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის და რაც ამანში იმყოფება, გადიდებულ იქნა ერაყში არსებული ბაზებიდან გადმოტანის გზით. შემდეგ კორესპონდენტი წერს, რომ 14 სატრანსპორტო თვითმფრინავს ავიაგამანადგურებელთა თანხლებით სამხედრო საჭურველი საჰაერო ხიდით ყოველ დღე გადააქვს სუეცის არხის ზონიდან აქაბას.

## ჰიულეტ ჯონსონის განცხადება

**ლონდონი,** 8 იანვარი. (საკდესი). კენტერბერის ტაძრის წინამძღვარმა ჰიულეტ ჯონსონმა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც ლექციებს კითხულობდა, გუშინ ლონდონში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ კლასებს შორის არის გავლენიანი ჯგუფი, რომელიც ამ წრეების 10 პროცენტზე მეტს არ შეადგენს და რომელსაც სურს ომი, ისიც სწორედ ახლა, როცა ხალხის მასებს მშვიდობა სურთ. მმართველი კლასის დანარჩენ ნაწილს სურს, რომ იყოს „სამხედრო საფრთხობელა", რათა გაატაროს კომუნისტებისა და დემოკრატების დევნის პოლიტიკა.

ჯონსონი ლონდონში გამოვიდა მიტინგზე და თქვა, რომ იგი წინააღმდეგია ყოველგვარ ომისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რის შესახებაც იგი აცხადებდა ამერიკასა და კანადაში. ჯონსონმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რუსეთთან მოლაპარაკება ხელახლა უნდა დაიწყოს და რომ ამერიკიდან მის გამომგზავრებამდე იქ დამზადდა პეტიცია, რომელსაც ხელი მოაწერა ერთმა მილიონმა კაცმა. ამ პეტიციაში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ პრეზიდენტმა ტრუმენმა მოლაპარაკება განაახლოს საბჭოთა კავშირთან.

## ლორდი ბივერბრუკი კონსერვატიული პარტიიდან გამოვიდა

**ლონდონი,** 8 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლორდი ბივერბრუკი, ინგლისის საგაზეთო მაგნატი და თვალსაჩინო კონსერვატორი. კონსერვატიული პარტიის ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა.

გუშინ მისმა ერთ-ერთმა გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა" გამოაცხადა, რომ ბივერბრუკმა თავისი რაიონის კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელს აცნობა, რომ იგი თავს აღარა თვლის კონსერვატიული პარტიის წევრად და უარს ამბობს საწევრო ანარიცხების გადახდაზე.

ლორდი ბივერბრუკი ინგლისის კონსერვატიულ პარტიასთან დაკავშირებული იყო 40 წლის განმავლობაში. ორ მსოფლიო ომს შორის იგი გამოდიოდა კონსერვატიული პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ იმპერიის თავისუფალი ვაჭრობის საკითხში და მხარს უჭერდა ინგლისის პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელ კონსერვატიულ კანდიდატებს.

ბივერბრუკი მინისტრი იყო ჩერჩილის სამხედრო კაბინეტში და ამ უკანასკნელთან დღემდე დაკავშირებულია მჭიდრო მეგობრობით. მაგრამ ომის დამთავრების მომენტიდან ბივერბრუკი მუდამ გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელსაც იწვევს ამერიკის ეკონომიური „დახმარება", რასაც კონსერვატიული პარტია უჭერს მხარს.

## ჰოლანდიის თვითმფრინავებმა დაბომბეს ჩინეთის ორი გემი

**ჰააგა,** 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ნიეუე კურანტის" ცნობით, ჰოლანდიის სამხედრო თვითმფრინავებმა სუმატრის ნაპირებთან იერიში მიიტანეს ჩინეთის ორ სამოქალაქო გემზე. დაშენისა და დაბომბვის შედეგად 12 კაცი მოკლულია და 3 კაცი დაჭრილია. დანარჩენი ჩინელები, რომლებიც გემებზე იყვნენ, ზღვაში აკრიფეს ჰოლანდიის ხომალდებმა, შემდეგ ისინი წამებით დახოცეს.

## გრძელდება გერმანული შენაერთების შედგენა გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში

**ბერლინი,** 7 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ოკუპაციის დასავლეთი ზონებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისისა და ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალნი, მიუხედავად მათი ოფიციალური განცხადებებისა, რომ მათს ზონებში გერმანელთა ჯარის ნაწილები არ არიან. განაგრძობენ გერმანელთა ჯარის შენაერთების შედგენას. მაგალითად, ინგლისურ ზონაში ოსნაბრიუკსა და აახენს შორის მდებარე რაიონში, ისევე როგორც წინათ, „მუშათა ბრიგადების" სახით ყოფილ გერმანელ ჯარისკაცთაგან იქმნება ახალი დიდი შენაერთი. ამ ნაწილების შტაბებს, რომლებიც უმთავრესად ყოფილ ჰიტლერელ ოფიცერთაგან შედგებიან, უკვე შექმნილია. მთავარ შტაბს ხელმძღვანელობს ერთ-ერთი ყოფილი ინგლისელი ოფიცერი.

ინგლისელი ხელისუფალნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გერმანელთა სატანკო ბრიგადების „გერმანიისა" და „ვიკინგის" ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა შეგროვებას. ქალაქ მიუნსტერში შექმნილია ბანაკი, სადაც ათავსებენ არმიაში გაყვანილ გერმანელებს. შედგენილი ნაწილების მოსათავსებლად გლადბახის, ფირზენისა და კრეფელდის რაიონში დაცალეს მთელი რიგი საწარმოები და საწყობები.

ცნობები იმის შესახებ, რომ ყოფილ გერმანელ სამხედრო პირებს აგროვებენ და მათგან ჯარის შენაერთებს ადგენენ, მოდის აგრეთვე ამერიკული ზონიდან. მაგალითად, იუწყებიან რომ ამერიკელ ხელისუფალთა დავალებით ობერბუზელში (ფრანკფურტის რაიონში) გენერალი გალდერი ადგენს გერმანელთა ჯარის ნაწილს.

როგორც ინგლისურ, ისე ამერიკულ ზონაში დასავლეთ გერმანიის არმიაში გამალებით გაჰყავთ ჩეხი, პოლონელი და იუგოსლავი ემიგრანტები. ამ პირთაგან შედგენილი ნაწილები შეჰყავთ გერმანულ შენაერთებში. მაგალითად, კრეფელდში (ინგლისური ზონა) ყოფილ ჰუსართა ყაზარმაში უკვე დააბინავეს პოლონელი ემიგრანტებისაგან შედგენილი ნაწილები.

## ბელგრადის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიმართვა მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობისადმი

**სოფია,** 7 იანვარი. (საკდესი). „რაბოტნიჩესკო დელოს" რედაქციამ მიიღო ბელგრადის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიმართვა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობისადმი და თხოვნა, რომ ეს მიმართვა გაზეთში გამოაქვეყნოს. მიმართვაში ნათქვამია:

„ექვსი თვე გავიდა იმ ისტორიული რეზოლუციის გამოქვეყნების დღიდან, რომელმაც გამოააშკარავა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღალატური საქმიანობა. ბელგრადის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც თავიანთი ტრადიციების ერთგულნი არიან, უერთდებიან რეზოლუციას.

გამცემლური ხელმძღვანელობა, რომელმაც იცის, რომ სტუდენტები მუდამ მიდიოდნენ და მუდამ ივლიან მარქსიზმ-ლენინიზმის გზით, თავს ესხმის სტუდენტებს, რომლებიც კომუნიზმისა და საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის ერთგულნი დარჩნენ. ყველაზე პროგრესულ სტუდენტებსა და საუკეთესო კომუნისტებს სცემენ, პარტიიდან და უნივერსიტეტიდან აძევებენ, აპატიმრებენ. დაპატიმრებული ამხანაგები საპყრობილეებში მძიმე პირობებში იმყოფებიან, მათ აწამებენ და აშიმშილებენ. დღემდე დაპატიმრებულია 250-ზე მეტი სტუდენტი. მათი ბედის შესახებ არავინ არაფერი იცის.

მოგმართავთ თქვენ, ამხანაგებო: დაეხმარეთ ჩვენს ბრძოლას, რომელსაც იმისათვის ვეწევით, რომ ჩვენი პარტია სხვა კომუნისტური პარტიების ძმურ ოჯახში დავაბრუნოთ.

აღიმაღლეთ ხმა უნივერსიტეტიდან ნამდვილი კომუნისტების გაძევების წინააღმდეგ, იმ ადამიანთა დაპატიმრების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ ლენინისა და სტალინის მოძღვრების ერთგულნი დარჩნენ.

გაუმარჯოს საინფორმაციო ბიუროს!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"

მიმართვას ხელს აწერს ბელგრადის უნივერსიტეტის დამხმარე კომიტეტი.

## მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

**შანხაი.** 5 იანვარი. (საკდესი). შანხაის კარგად ინფორმირებულ უცხოელთა წრეებში კომენტარს უკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალ ცდებს — თავიანთი ექსპანსიონისტური მიზნით გამოიყენონ ჩინეთში გომინდანისათვის შექმნილი კრიზისული ვითარება.

მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის წარმომადგენლებმა ჩინეთში ახალი მოთხოვნები წარუდგინეს დაშლის პროცესში მყოფ გომინდანურ რეჟიმს, როგორც პირობა ჩინეთის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შემდგომი დახმარებისა. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ, ჯერ-ერთი, გაიხსნას ჩინეთის უმთავრესი შინა წყლის აუზი — მდინარე იანძი ამერიკელთა სავაჭრო და სამხედრო გემების შეუზღუდველი მიმოსვლისათვის და, ამრიგად, ამ სასიცოცხლო მნიშვნელოვან რაიონში დაწესდეს აშკარა ამერიკული სამხედრო კონტროლი, რაც ეწინააღმდეგება ჩინეთის სუვერენიტეტს. მეორე, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ კუნძული ფორმოზა გადააქციონ ამერიკა-ჩინეთის საზიარო სამხედრო-საზღვაო ბაზად, ე. ი. ფაქტიურად ისწრაფვიან საბოლოოდ მოსწყვიტონ ჩინეთს სტრატეგიულად ეს მნიშვნელოვანი კუნძული და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ეს კუნძული ჩინეთს ეკუთვნის.

ხსენებულ წრეებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ამერიკის ამ უკანონო მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ იხსნის დაღუპვის გზაზე მდგომ გომინდანურ რეჟიმს. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ეს ახალი ექსპანსიონისტური მისწრაფება აქ იმის დამადასტურებლად მიაჩნიათ, რომ უოლ-სტრიტი სასოწარკვეთით ცდილობს გახდეს ჩინეთის სრული ბატონ-პატრონი ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვის გზით და ამერიკელ ფინანსთა მეფეებს მსხვერპლად შესწირონ ჩინელი ხალხის ეროვნული ინტერესები.

## ინგლისის გეგმები ახლო აღმოსავლეთში

**კაირო,** 7 იანვარი. (საკდესი). ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ ნური საიდ-ყაშა გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე.

ამ წრეების აზრით, ერაყის ხელისუფლების სათავეში ნური საიდის ჩადგომა უშუალოდ დაკავშირებულია ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის აქტივიზაციასთან იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება პალესტინის არაბულ ნაწილს, ინგლის-ერაყის ურთიერთობას და „დიდი სირიის" შექმნის გეგმას. ამ წრეებში აგრეთვე ფიქრობენ, რომ ახლა ინგლისელები კვლავ შეეცდებიან დასდონ ინგლისსა და ერაყს შორის ხელშეკრულება, რომელიც ერთხელ უკვე უარყო ერაყმა.

## იაპონიაში პროტესტს აცხადებენ ინდონეზიაში ჰოლანდიელთა მოქმედების წინააღმდეგ

**ტოკიო,** 6 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, აღმოსავლეთის ქვეყნების 650 ათასამდე წარმომადგენელი (არაიაპონელი), რომლებიც იაპონიაში ცხოვრობენ, შეუერთდა ინდონეზიის ასოციაციას, რომელიც გმობს ინდონეზიაში ჰოლანდიელთა მოქმედებას.

რეზოლუციაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა პარიზში, ინდონეზიის ასოციაცია მოითხოვს, რომ ჰოლანდიელებს უბრძანონ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ინდონეზიიდან.

იაპონიაში ვიეტნამელების, ფილიპინელების, ინდოელების, სიამელების, ჩინელებისა და კორეელების ასოციაციებმა მოიწონეს ინდონეზიის ასოციაციის რეზოლუცია.

## თურქეთის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა

**ანკარა,** 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „კუდრეთი" იუწყება ქალაქ ესკიშეჰირის მცხოვრებთა მძიმე მდგომარეობას ამ ქალაქში დიდ ყინვასთან დაკავშირებით. გაზეთი წერს, რომ მცხოვრებნი, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან სათბობით, გაემართნენ იმ ბანკის შენობისაკენ, რომელიც ქვანახშირს ანაწილებდა, ბანკის ხელმძღვანელობამ, რომელიც ვერაუდობდა ექსცესების შესაძლებლობას, გამოაცხადა, ქვანახშირი აღარ არისო. პოლიციელებმა ხალხი გარეკეს. ქალაქის მცხოვრებნი ორ ადგილას თავს დაესხნენ ქვანახშირით დატვირთულ ურმებს და ნახშირი დაიტაცეს.

სათბობის უქონლობასთან დაკავშირებით შეწყვეტილია მეცადინეობა ქალაქის სკოლებში. შეჩერდა ზოგიერთი ფაბრიკა. საავადმყოფოებში მდგომარეობა ტრაგიკულია.



რკინიგზის ქართული არქიტექტურული ორნამენტით გაფორმებული ახალი ბაქანი სოხუმში.
ფოტო გ. პარასკევოპულოსი.

## საამქროს გაფართოება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). დღითი დღე იზრდება და ფართოვდება საავტომობილო ქარხნის საამქროები.

სატვირთო-მექანიკურ საამქროს ამ დღეებში მიემატა 300 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი. ამასთან დაკავშირებით საამქროში დამატებით დაიდგა 10 ახალი ჩარხი და ახლა მიმდინარეობს მათი მონტაჟი.

სამონტაჟო სამუშაოებს წარმატებით ხელმძღვანელობენ მექანიკოსი ამხ. ნინუა და საამქროს უფროსის მოადგილე ამხ. ქორქაშვილი.

## საკოლმეურნეო აბანოები

**ხობი.** (საკ. კორ.). დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა აბანოები სოფელ ქვემო-ქვალონის რუსთაველის და ბირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში.

უახლოეს დღეებში კიდევ რამდენიმე კოლმეურნეობაში ამუშავდება აბანო.

## ახალი წიგნები

### „ვაზის მთავარი მავნებლები და მათთან ბრძოლა"

სახელგამმა გამოსცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ალექსიძის წიგნი „ვაზის მთავარი მავნებლები და მათთან ბრძოლა". წიგნში გაშუქებულია ვაზის მავნებელავადმყოფობათა: ფილოქსერის, ყურძნის ჭიის, ვაზის ცრუფარიანის, ვაზის ფოთლის აბლაბუდიანი ტკიპის, ღრაჭების, მავთულა ჭიების, ჭრაქის, ნაცარის და სხვათა წარმოშობა და მათთან ბრძოლის საკითხები.

### „სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება"

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რუსულ-ქართულ ენაზე გამოუშვა „სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება" 3.000 ცალი ტირაჟით. იგი უფასოდ გაეგზავნება კოლმეურნეობებს.

### „საქართველოს მეცხოველეობის მოწინავეები"

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯიშე საქმის ინსპექციის უფროსის ვ. ძასოხოვის მიერ შედგენილი ბროშურა „საქართველოს მეცხოველეობის მოწინავეები". ბროშურის მიზანია გააცნოს მეცხოველეობის მუშაკებს საუკეთესო მწველავთა, მეხბორეთა, საქონლის მომვლელთა, მეცხენეთა, მეცხვარეთა, ბრიგადირთა და ფერმის გამგეთა მიღწევები.

ბროშურის რედაქტორია ა. კვესიტაძე.

### „მეღვინეობა"

გამოვიდა, პროფესორ კ. მოდებაძის სახელმძღვანელო „მეღვინეობა". წიგნი ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია მეღვინეობის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა; მეორე ნაწილში ვეცნობით ღვინის დასაყენებელი მასალისა და ღვინის ქიმიურ შემადგენლობას; მესამე ნაწილი მიძღვნილია ტკბილისა და ღვინის მიკროფლორის შესწავლისადმი; მეოთხე ნაწილში განხილულია ღვინის დაყენების სხვადასხვა მეთოდი, აქვე ვეცნობით იმ პირობებს, რომელნიც ღვინის თვისებებზე სხვადასხვა გავლენას ახდენენ. მეხუთე ნაწილში ავტორი ეხება ქართული და უცხოეთის ღვინოების დაყენების საკითხს.

## საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური

**ტყიბული.** (საკ. კორ.) სოფელ ძმუისში აშენდა 80-ცხენისძალიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური. ილიჩის ნათურებით განათდა სოფლის კლუბი, სამკითხველო, ოთხწლიანი სკოლა და 125 კოლმეურნის ბინები.

ძმუისჰესის ელექტროსადგურის ბაზაზე განზრახულია მოეწყოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ორი წისქვილი. მოკლე ხანში ძმუისჰესის ელექტროენერგიას მიიღებენ აგრეთვე სოფელ კისორეთის კოლმეურნეებიც.

## კულტურის სახლი

**ახალციხე.** (საკ. კორ.). სოფელ ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო ორსართულიანი ქვიტკირის შენობა. ამ დღეებში იქ გაიხსნება კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა. შენობაში მოთავსდება აგრეთვე კოლმეურნეობის კანტორა, საკოლმეურნეო ლაბორატორია და საწყობი.

## „საქწიგნის" № 31 მაღაზიაში

„საქწიგნის" № 31 მაღაზიაში მიღებულია ხელისმომწერეთათვის შემდეგი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა: ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი, ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-8 ტომი რუსულ ენაზე და მე-4 ტომი ქართულ ენაზე, ბელინსკისა—2, 3, ტომი, სერაფიმოვიჩისა—მე-5 ტომი, ჰაინესი—მე-2 ტომი, ჩერნიშევსკისა — მე-4 ტომი, პუშკინისა—მე-6 ტომი, ვერესაევისა—მე-3 ტომი და უშინსკის მე-3 ტომი.

აქვე წარმოებს ხელმოწერა კ. ტიმირიაზევის თხზულებათა 4 ტომეულზე, პუშკინის თხზულებათა 10 ტომეულზე, ტარას შევჩენკოს თხზულებათა 5 ტომეულზე და „ენციკლოპედიური ლექსიკონის" 2 ტომეულზე.

## „ბოლშევიკი" № 12

გამოვიდა და ამ დღეებში ხელისმომწერლებს დაურიგდებათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალ „ბოლშევიკის" № 12.

**შინაარსი:** საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ—ამხანაგ კ. ჩარკვიანის სიტყვა საქართველოს ალკკ XVII ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს, მოწინავე—საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობისათვის, ლ. გორგილაძე—ი. სტალინის ბრძოლა ქართველი ლიკვიდატორების წინააღმდეგ ნაციონალურ საკითხში, ვ. ყურაშვილი—სახალხო სასამართლოების არჩევნები, ა. მგელაძე—მიჩურინული მოძღვრების დიადი გარდამქმნელი ძალა, ვ. მელქაძე—სოციალისტური დაგროვების განუხრელი აღმავლობის პირობა.

**კონსულტაცია.** ა. მერცხულავა — პარტიის წევრობის ლენინურ-სტალინური პრინციპი, ვ. მეგრელიშვილი—ჩინეთის დემოკრატიის ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

---

თბილისის სახელმწიფო
ც ი რ კ ი
დღეს, 11 იანვარს
პ რ ე მ ი ე რ ა
მე-2 ციკლის
ახალი პროგრამა
რსფსრ დამსახურებული არტისტის
**კიოს**
და მისი
75 ასისტენტის
მონაწილეობით და ახალი
დიდი საცირკო პროგრამა
დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სალაროებში: სახელმწიფო ცირკის კიბის ასავალთან, რუსთაველის პროსპექტზე — მაღაზია „წყლები" და პლეხანოვის პროსპექტზე — მაღაზია № 3.

---

**საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა. წ. 1 თებერვალს, დღის 12 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

**ზაქარია ნიკოლოზის-ძე ვაჩნაძე** თემაზე: „კვების არის გავლენა სიმინდის მოსავალზე".

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლ. დეკაპრელევიჩი**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. აბესაძე**.

**ილია მიხეილის-ძე ჩუბინიძე** თემაზე: „**შრომის ორგანიზაციის საკითხები საქართველოს შაქრის ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებში**".

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. სანიკიძე** და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. იაშვილი**.

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

---

### თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 12-I „ოტელო" (14 აბ. 6 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 11-I „მეფე ლირი" (11 სერ. 5 წარმ), 12-I „ქეთევან დედოფალი" (10 სერ. 5 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 11-I „ნინოშვილის გურია" (10 სერ 5 წარმ.), 12-I „რკინის პერანგი" (24 სერ 5 წარმ.);

ბერიას სახელობის კულტურის სახლი — 12-I „ხიმღერის ძალა" (9 აბ. 1 წარმ., მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა).

მესამე შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

---

შვილები ალექსანდრე, ირაკლი, ივანე მაჭარაშვილები, და სოფიო, ძმა რეზო ოჯახებით იუწყებიან **ნატალია ალექსანდრეს ასულ მაჭარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-I, 5 ს. პეროვის, 20.

შვილები თამარ, ელენე, მარგო ინდაშვილები, სიძე აპოლონ ბოლქვაძე, რძლები ნინო, კატო შვილებით იუწყებიან **ანა ნოდარის ასულ ინდაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-I, 7 ს. გამოსვენება 13-I. 5 ს. ფალიაშვილის, 48 (ვაკე).

შვილები შალვა, თამარ, ნინო, ნატაშა ზულიაშვილები ოჯახებით, ილია ჯავაშვილი, გიორგი, ციალა შარიქაძე იუწყებიან **ეფროსინე სოლომონის ასულ ბარნაბიშვილი-ზულიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-I 7 ს. დაკრძალვა 13-I 5 ს. ფასანაურის, 11.

მშობლები: ლიდა, ივანე, ბიძები: ნიკოლოზ, ვარლამ, მამიდა ნატალია აბრამიძეები ოჯახებით იუწყებიან **მამია ივანეს-ძე აბრამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I, ს. ქვედა ვანში.

ფატმანი და მისი შვილები: გრიგოლ, ვლადიმერ, ვალერიან, ალექსანდრე, დავით და უჩა მელქისის-ძე ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან ძმის და ბიძის **დავით რამაზის-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-I, 5 ¼ ს. მონტინის 45.

მელანია კაკაბაძე, თამარ და სერგო გელაშვილები შვილებით ქეთევანით და თინათინით იუწყებიან **დოდო ვარლამის ასულ ხელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები გივი, მანანა და ჰამლეტი, ილარიონ ფანცხავა შვილებით იუწყებიან **იოსებ გაბრიელის-ძე მეფისაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I, 5 ს. ქ. ქუთაისში, ცხაკაიას II შესახ. 6.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ბ. ჟორდანიას ძმის **ავთანდილ ალექსანდრეს-ძე ჟორდანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I, ლანჩხუთში.

ბენო გოგიჩაიშვილი და დავით ვაჩაძე ოჯახებით იუწყებიან **დავით რამაზის ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-I, 5½ ს. მონტინის, 45 (ლენინის რაიონი).

და ლიზა, სიძე დავით ცომაიები შვილებით, ალიოშა ბოკუჩავა, რაჟდენ კვესელავა, სამუელ ცომაია იუწყებიან **ბესარიონ ევგენტეს-ძე ჟვანიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორი—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 01233